პარასკევი, 5 ოქტომბ. 1907 წ.

# ისარი

წელიწადი პირველი — № 217

გაზეთი «ისარი» ერთის წლით ღირს ტფილისში 7 მან., ნახევარი წლით—4 მან., ერთის თვით—75 კაპ. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ ღირს 3 მან.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «ისრის» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე.

რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, ელისაბედის ქუჩა, № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია დიდხანს არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდ წერილებს და მოთხრობებს. წერილობით პასუხისათვის საჭიროა გამოგზავნილ იქნეს საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლისათვის ტფილისიდან ტფილისს გარე ღირს 1 მან., ხოლო ტფილისს გარეთიდან სხვა რომელიმე ქალაქში—40 კაპ.

ცალკე ნომერი ყველგან ღირს 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ».

კნ. ოლგა თადეოზის ასული ჭავჭავაძისა, ელისაბედ გრიგოლის ასული საგინაშვილისა და თავ. კონსტანტინე ნიკოლოოზის ძე აფხაზი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ქართველ საზოგადოებას, რომ სამშაბათს, 9 ოქტომბერს, ტრაგიკულად დაკარგულ პოეტის

## ილია გრიგოლის ძის ჭავჭავაძის

გარდაცვალების მეორმოცე დღეს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება $9^1/_2$ საათზე. პანაშვიდი წირვის შემდეგ. (3—1)

ხარლამპი პეტრეს ძე ღლონტი, დავით არჩილის ძე და ანნა ბეგლარის ასული ლორთქიფანიძენი, მარიამ დავითის ასული კერესელიძისა და კონსტანტინე (იგივე კოტიკო) დავითის ძე ლორთქიფანიძე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ საორმოცო წირვა გარდაცვალებულის: პირველის—მეუღლისა, მეორეთა—ასულის და მესამეთა—დის

## ელენე დავითის ასულის ღლონტისა

დანიშნულია კვირას, 7 ოქტომბერს, დილის $9^1/_2$ საათისთვის საფიჩხიის ეკლესიაში. წირვის შემდეგ გარდახდილ იქნება პანაშვიდი საფიჩხიის სასაფლაოზე. (1—კვ.—1)

კვირას, 7 ოქტომბერს, გარდახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი დ. სურამის მაცხოვრის ეკლესიაში

## საშა თოხაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც ნათესავთა და ნაცნობთ აუწყებენ დეკანოზი არსენ სოფრომის ძე და მარიას დიმიტრის ასული თოხაძენი. (2—1)

2 ღვინობისთვეს დილის 7 საათ. მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

## დეკანოზი ნიკოლოოზ არდაზიანი,

რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მეუღლე მისი: ნინო პეტრეს ასული, შვილები: ალექსანდრე, გიორგი, ზაქარია, ნატალია, ანნა, სოფიო და ძმა განსვენებულისა ხარლამპი პეტრეს ძე. პანაშვიდი დანიშნულია ყოველ დღე პირველ საათზედ და საღამოს 7 საათ. გასვენება შაბათს, 6 ღვინობისთვეს, დილის 9 საათ. საკუთარ სახლიდან (1-ლი საპიონის ტუპიკი, № 4) წმ. სამების ეკლესიაში, სადაც წირვის შემდეგ დაკრძალული იქნება. (3—3)

დარია იაკობის ასული ბაინდუროვისა შვილებითურთ, ნინო პეტრეს ასული დავიდოვისა, ეკატერინე პეტრეს ასული მურადოვისა და მარიამ პეტრეს ასული გრიქუროვისა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველნი—ძვირფას მეუღლის და მამის, ხოლო დანარჩენნი—ძმის

## ესტატე პეტრეს ძის ბაინდუროვისას.

პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს ექვს საათზე. ცხედრის გამოსვენება კვირას, 7 ოქტომბერს საკუთარ სახლიდან გორში, დილის 11 საათზე, წმ. სტეფანეს ეკლესიაში. (1—340—1)

ოლინკა მიხეილის ასული გოგნიევისა, ეკატერინე დავითის ასული და ნინო იოსების ასული გომელაურისანი; გიორგი (იაგორი), ლევანი და ვანო მიხეილის ძენი გომელაურები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს—პირველი, მეორე, მეხუთე და მეექვსე—ძვირფასი დედის, ხოლო მეორე და მესამე დაუვიწყარ დედამთილის

## ხორამზე დავითის ასულის გომელაურის

გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება 7 ოქტომბერს, კვირას, სოფელ მირზაანში. (1—1)

კბილის ექიმი
**ალ. სოლოლაშვილი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (64)

ექიმი
**ი. მამაკიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—00)

კბილის ექიმი
**ნინო რცხილაძე**
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს, საღამოთი, —7 საათზე. ვერა ოლგას ქუჩა, № 25- (0—192)

თვალის ექიმი
**ზ. მ. ცხვედაძე**
დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—1 ს. და საღამოს 5—6 ს. ვერა, ოლღას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—289—25)

ექიმი
**ივ. გომართელი**
შინაგან საქირურგიო სნეულებანი. ტფილისში. გოლოვინის პროსპექტი სახლი თამამშევისა. № 33. (25—526—19)

კბილის ექიმი
**ს. გ. რომანიშვილი**
მიიღებს კბილებით ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდის და საღამ. 4—6 საათამდის, მუხრანის ქუჩა № 11. ქალაქის სამკურნალოს გვერდით. (25—ბ.—14)

ქუთაისში
კბილის ექიმი
**ი. დ. ნასარიძე**
იღებს ავადმყოფებს ექიმ ნასარიძის ბინაზე. (25—288—25)

ელექტრონის და რენტგენის
**სამკურნალო კაბინეთი**
**მიხეილ ვედევანიშვილისა**
იღებს ავადმყოფებს დილის 12—1, საღამოს 6—7 საათ. ყორღანოვის ქ., ვერაზე; საკ. სახლი № 20 ტელ. 791. (26—ნ.—15)

ექიმი
**ვ. ს. მუსხელიშვილი**
მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილის 9—$11^1/_2$. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

## სამკურნალო

**სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის**
ფასი რჩევისთვის 50 კაპ.
**ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად.**
ტელეფონი № 481.
ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.
**რუდინკი**—შინ.ს ნეულ. კვირა 3—4 ს.
**რიდელ**—კანისა, ვენ., სიფ. ყოველდ. $1^1/_2$—3 ს.
**იანჩევსკი**—ყურ. ყელ. და ცხვ. ყოველ დღე 2—3 ს.
**ერმოლაევი**—ბავშ. შინ. ყოველდღე. 1—12 ს.
**პავლოვსკი**—ქირურგ. ყოველ დღე 4—5 ს.
**ასპისოვი**.—ყურ. ყელ. ცხვ. ყოველ დღე $12^1/_2$—$1^1/_2$ ს. სამშაბ. და პარ. გარდა.
**იოზელიანისა**—ქალ. ავად., ორშ., ოთხშ., პარას. კვირ. 1—2 ს.
**ბოგოვსკი**—შინ. ყოველდღე $11^1/_2$—1 ს.
**გორალევიჩი**. შინაგ. ყოველ დღე, $11^1/_2$—$1^1/_2$
**ინაევი**—ქალთა ავად. დროებით წავიდა.
**ჩუდნოვსკი**—ნერვ., სულ., ელექტრ. ყოველდღე. 4—5 ს.
**ჯუგოვი**—ქირურ. ყოველ დღე 2—3 ს.
**ნოვიცკი**—ქალ., ბავშვ. ყოველ 1—2.
**ნევშტროვა**—კბილისა, ყოველდღე 10—12 და 3—5 ს.
**გორობცოვისა**—მასსაჟი. ყოვ. დღე 12—4 ს.
**პივარსკი** — **ჩუდნოვსკი** — კლინიკური ანალიზი.
კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—ნ.—40)

ქართველ ქალთა ამხანაგობის
## სამკერვალოში

მიიღებენ შესაკერად კაბებს ბავშვებისას და ქალებისას. შეკვეთილს აასრულებენ დროზედ და არა ძვირად. გაბაევის ქუჩა № 3 ვერა (5—უ.—2)

ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოზის ლეონიდის ნებართვით ამ წლის 20 ოქტომბრიდან **ქუთაისში** გაიხსნება

## საღვთის მეტყველო კურსები

დაწვრილებით პირობების შესატყობად მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ მღვდელის ალექსანდრე გერსამიას, არქიელის გორა, საკუთარ სახლში. (3—კვ.—2)

## აგენტების საყურადღებოდ

არა ერთხელ და ორჯელ მივმართე თხოვნით, როგორც წერილებით, ისე გაზეთის საშუალებით, გაზეთ „ჩვენი გზის“ აგენტებს, რომ ჩაებარებინათ წიგნის „ჯაშუშის“ ანგარიში, მაგრამ არავითარი პასუხი არ მაღირსეს. ეხლა უკანასკნელად ვთხოვ შემდეგ პირთ. სიღნაღში—ალექსანდრე უზნაძეს; ყვირილაში—ალ. გაჩეჩილაძეს; ჩოხატაურში—ჟურნალ-გაზეთების კანტორას „სინათლეს“; ბათუმში—მიხაკო კალანდაძეს და ჭიათურაში—კირილე მოსეშვილს.

უკანასკნელად კიდევ ვთხოვ დაუყოვნებლივ ჩამაბარონ ანგარიში. თუ გაყიდული არა აქვთ რა, წიგნები მაინც დამიბრუნონ საჩქაროდ. **მარიამ გარიუშვილი.**

ჩემი ადრესი: Тифлисъ, Вардисубанская уд., № 28. М. Л. Ратіани.

## იძლევა

იჯარით გრიგოლ ჩარკვიანის სტამბა
**იგივე სტამბა იყიდება კიდეც**
გაიგება შეიძლება მიხაილოვის ქ., სახ. № 40. საღამოს 4-დან 6 საათამდე. (2—339—1)

## ვკისრულობ

ხელნაწერების შესწორებასა და თარგმნას: რუსულიდან ქართულად და ქართულიდან რუსულად. იკითხეთ „ისრის“ რედაქციაში.

## არჩევნები რუსეთში.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს საკმაო ნაწილი ამომრჩევლებისა უკვე არჩეულია, გადაჭრით იმის თქმა, როგორი იქნება მესამე სათათბირო, ერთობ ძნელია. ხელთა გვაქვს მხოლოდ ოფიციალურ სააგენტოს ცნობები, რომლებიდან ადვილად ვერ გაარკვევ, ვინ და როგორ გაიმარჯვა. მაგალითად, დიდი ადგილი სააგენტოს ცნობებში უჭირავს უპარტიოთ, მაგრამ არ არის აღნიშნული—მემარცხენეებია ეს უპარტიონი თუ მემარჯვენენი; შემდეგ ამომრჩეველთა შესახებ სააგენტო ამბობს, „თავის თავს მონარხისტებათ ან მემარჯვენეებათ აღიარებენო“ და ამათ შესახებაც არა ვიცით რა გარკვევით—რომელ ბანაკს ეკუთვნიან. საზოგადო სურათი კი იმგვარია, რომ არჩევნები ზუსტად თუ ცოტად შეეფერებიან 3 ივნისის საარჩევნო კანონს: მაღალ კურიებში (მსხვილი მემამულენი და ქალაქის ამრჩეველნი 1-ლის რიგისა) რეაქციონერები და ზომიერები გადიან, დაბალ კურიებში კი ოპოზიციის წარმომადგენელნი. აი, ამის დამამტკიცებელი ციფრები: 1-ლ ოქტომბრამდე არჩეულია მსხვილ მემამულეთა კურიაში რუსეთის 35 და პოლონეთის 6 გუბერნიაში სულ 2155 ამომრჩეველი, აქედან:

ა) წმინდა რეაქციონერები:

| | |
|---|---|
| „ჭეშმარიტი რუსნი“ | 22 |
| ბესარაბიის ცენტრის პ. | 44 |
| მონარხისტი | 320 |
| მემარჯვენე | 781 |
| სულ | 1167 |

ბ) ზომიერები:

| | |
|---|---|
| ოქტომბრისტები | 309 |
| ნაროდოვცები | 139 |
| პოლონეთის და სხვა ნაციონ. | 39 |
| ზომიერნი | 61 |
| კათოლ.-კონსტ. | 2 |
| სულ | 550 |

გ) მემარცხენე და უკიდ. მემარცხენე:

| | |
|---|---|
| კადეტი | 60 |
| მოკადეტე | 12 |
| ს.-დემოკრატ. | 1 |
| ბალტიის მხრის კადეტი | 53 |
| უკიდურესი მემარცხენე | 10 |
| მემარცხენე | 27 |
| პროგრესისტი | 60 |
| სულ | 223 |

დანარჩენები უპარტიონი არიან.

როგორც ხედავთ, „მაღალ“ კურიაში გამარჯვება 3 ივნისის საარჩევნო კანონმა, ჯერ-ჯერობით მაინც, რეაქციონერთ და ზომიერთ არგუნა. სხვა სურათს ვხედავთ სოფლის რწმუნებულთა და ქალაქის კურიებში. აქ 1-ლ ოქტომბრამდის არჩეულია 1620 ამომრჩეველი. აქედან:

ა) წმინდა რეაქციონერი:

| | |
|---|---|
| „ჭეშმარიტი რუსნი“ | 22 |
| ბესარაბიის ცენტრ. პარტ. | 6 |
| მონარხისტი | 309 |
| მემარჯვენე | 301 |
| სულ | 638. |

ბ) ზომიერი:

| | |
|---|---|
| ოქტომბრისტი | 82 |
| პოლონ. და სხვა ნაციონ. | 14 |
| ზომიერი | 102 |
| სულ | 198. |

გ) მემარცხენე და უკიდ. მემარცხენე:

| | |
|---|---|
| კადეტი | 142 |
| მოკადეტე | 46 |
| ნაროდნ. სოციალ. | 2 |
| ტრუდოვიკი | 9 |
| ს.-დ. | 18 |
| ს.-რ. | 10 |
| მემარცხენე | 243 |
| ეროვნული მოკადეტე | 164 |
| სულ | 634. |

დანარჩენები უპარტიონი არიან.

საერთოდ ამ ციფრებიდან ვერაფერს დავასკვნით, მით უმეტეს, რომ ოფიციალურ სააგენტოს „მემარჯვენენი“ და „მონარხისტები“, როგორც შარშანდელ არჩევნებმა დაგვიმტკიცა, ერთობ საეჭვონი არიან. შეგვიძლია მხოლოდ ვთქვათ, რომ ჯერ-ჯერობით საპარლამენტო ცენტრის ელემენტები იმარჯვებენ, ხოლო უკიდურესი მემარჯვენენი და უკიდურესი მემარცხენენი მარცხდებიან.

## სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა...

(ვიურტემბერგის ს.-დ-ბის ტაქტიკის გამო)

ვიურტემბერგის სოციალ-დემოკრატებს კრება ჰქონდათ შტუტგარტში, რომ ადგილობრივ ლანდტაგის ს.-დემოკრატიული ფრაქცია გაესამართლებინათ. დანაშაული, რომლისთვისაც ამხანაგებმა პასუხისგებაში მისცეს ფრაქცია, ის იყო, რომ ფრაქციამ ხმა მისცა სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვას, რომელიც მთავრობის წარდგენილი იყო.

ფრაქციის დამცველად კრებაზე ლინდემანი გამოვიდა: ფრაქციას საბუთი არა ჰქონდა არ დაემტკიცებინა ხარჯთ-აღრაცხვა და ამით უნდობლობა გამოეცხადებინა მთავრობისათვისაო; ხარჯთ-აღრიცხვის წყალობით შრომის პირობები უმჯობესდებოდა და ქირა ემატებოდა სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეებს და მუშებს; ამომრჩევლები ვერ გაიგებდნენ ჩვენს ტაქტიკას, უარი რომ გვეთქვა ისეთ ხარჯთ-აღრიცხვაზე, რომელიც შეიცავდა ჩვენგან შეტანილ შესწორებებს; ასეთ ბიუჯეტის უკუგდება სასარგებლო იქნებოდა მხოლოდ სოციალ-დემოკრატების მტრებისთვისაო.

არ დაკმაყოფილდა კრება ლინდემანის განმარტებით და სხდომაზე ორი რეზოლიუცია შეიტანეს, ორივე წინააღმდეგი ლანდტაგის ფრაქციისა. ამიტომ ფრაქციამ განაცხადა—არც ერთ რეზოლიუციის მიღება არ შეგვიძლიან და თუ მიგიღიათ, იძულებულნი ვიქნებით დეპუტატობას თავი დავანებოთო. ასეთ განცხადების შემდეგ კრებამ უარყო ორივე რეზოლიუცია, ე. ი. ისევ ნდობა გამოუცხადა ს.-დემოკრატიულ ფრაქციას.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიის წლიური კრება ისე არ გათავებულა ამ რამდენსამე წლის განმავლობაში, რომ რითიმე არ გამოეცხადებინოთ მართლმორწმუნე მარქსისტებს—ერთხელ კიდევ დამტკიცდა, რომ ოპორტიუნისტობას, რევიზიონიზმს ნიადაგი არა აქვს გერმანელ სოციალ-დემოკრატებშიო. ყოველ პარტაიტაგის შემდეგ ზეიმით აუწყებენ urbi et orbi—რევიზიონიზმი დამარცხდა, იგი აღარ არსებობსო, მაგრამ ეს ცარიელი ბაქიაობაა მართლმორწმუნეებისა; სინამდვილე, ყოველდღიური ცხოვრება გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციისა თვალნათლივ ამტკიცებს, რომ ოპორტიუნიზმი და რევიზიონიზმი არა თუ დამარცხებული არ არის, პირიქით დღითი-დღე იზრდება. ამას მოწმობს შტუტგარტის საერთაშორისო კონგრესი, ამას მოწმობს ესსენის პარტაიტაგი, ამას ამტკიცებს კიდევ უფრო მეტის მჭევრმეტყველებით ვიურტემბერგის ლანდტაგის ფრაქციის გასამართლებაც.

სოციალ-დემოკრატიულ **სარევოლიუციო** პარტიის დეპუტატები აცხადებენ საჯაროდ: ბურჟუაზიულ მთავრობას უნდობლობას ვერ გამოვუცხადებდით, რადგან მის მიერ წარმოდგენილ ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანილი იყო შრომის პირობების გაუმჯობესება და ქირის მომატება მუშებისათვისაო. ამას ამბობს სარევოლიუციო ფრაქცია, ასეთ წმინდა წყლის ოპორტიუნისტულ პოლიტიკას ეწევა იგი, პარტიულ კრებაც დასტურს აძლევს და პარტაიტაგებზე გაიძახიან—ოპორტიუნიზმი საბოლოოდ დამარცხდა, მას ნიადაგი არა აქვს ჩვენს პარტიაშიო. სწორედ ამაზედ არის ზედ-გამოჭრილი უკვდავი სიტყვები, სათაურად რომ გვაქვს მოყვანილი—„სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი“.

## კოოპერატორთა საერთაშორისო კონგრესი კრემონაში.

გუშინ ვწერდით, რომ დაიწყო კოოპერატორთა საერთაშორისო კონგრესი კრემონაში. მოხსენება წაიკითხა დანიის საზოგადო საქმეთა მინისტრმა ხეგსბრომ. მისი ნათქვამის დედა-აზრი დაახლოვებით შემდეგია: კოოპერაცია დანიაში მჭიდროდ არის დაკავშირებული სასოფლო მეურნეობასთან. დანიის კეთილდღეობა შეჰქმნა ამ კოოპერაციამ, რომელიც შემდეგ პრინციპებზეა აშენებული: საქონლის გამყიდავი ამხანაგობა მოგებას აწილებს პროპორციონალურად გაყიდულ საქონლისა, მწარმოებელი ამხანაგობა კი — პროპორციონალურად მოტანილ საქონლის ღირებულებისა.

ხეგსბროს შემდეგ ილაპარაკა იტალიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებათა ფედერაციის თავმჯდომარემ რაინერიმ. მისი ანგარიშიდან სჩანს, რომ ამ ჟამად იტალიაში ითვლება 1608 შემნახველი და საკრედიტო ამხანაგობა, 870 საწარმოვო საზოგადოება და 795 სასოფლო მეურნეობისთვის საჭირო მასალის მყიდველი საზოგადოება. შარშან ამ საზოგადოებამ იყიდა 10 მილიონ ლირის საქონელი. ზემოდ ჩამოთვლილ საზოგადოებაში ითვლება 200,000-ზე მეტი წევრი.

იტალიისა, ბელგიისა და საფრანგეთის დელეგატები თხოულობდნენ, კონგრესს მიეღო ისეთი რეზოლიუცია, რომ გლეხთა და მუშათა კოოპერატიული საზოგადოებანი შეერთებულიყვნენ სოციალისტურ პარტიის დროშის ქვეშ. მაგრამ ამ წინადადებას წინ აღუდგნენ გერმანელები. ისინი ამბობდნენ, რომ სოციალისტური კოოპერაცია, ჯერ ერთი, დიდ ფულს მოითხოვს და მეორე, ასეთი მოძრაობა პოლიტიკურ პროპაგანდას ხელს შეუშლისო. გერმანელთა აზრს იცავდნენ სოც. დემოკრატები ფონ-ელმი და შტეინბახისა.

კონგრესის უკანასკნელ დღეს ილაპარაკა ბელგიის სოციალისტ დეპუტატმა ბერტრანმა, რომელმაც დაწვრილებით ასწერა საოცარი გამაჯვება კოოპერატიულ მოძრაობისა ბელგიაში. მის შემდეგ ილაპარაკა კრემონელ სოციალისტთა ბელადმა გარიბოტიმ, რომელიც ამტკიცებდა, რომ კოოპერაციას სოფლისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვსო. თვითონ გარიბოტის კრემონაში დაუარსებია კოოპერატიული საზოგადოება და ექვსი განყოფილება მახლობელ სოფლებში. მას დიდი ბრძოლა ჰქონია ინტელიგენტ სოციალისტებთან, რომელთაც პოლიტიკა უფრო ეხერხებათ, ვიდრე პრაქტიკული მუშაობა სოფელში, რადგან პოლიტიკა უფრო ადვილი და წმინდა საქმეა, ვიდრე ყოველ დღე გლეხებში ლაპარაკი და მათთან ცხოვრება.

კონგრესი საზოგადოდ კარგი გამოდგა. მხოლოდ ფრანგები წავიდნენ გულ-ნატკენნი, რადგან იმათ პოლიტიკასა და რეზოლიუციას დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს ბურჟუა კოოპერატორებმა და გერმანელ სოც.-დემოკრატებმა, რომელთაც ფრანგები ბურჟუებისაგან ძლივს არჩევენ.

## ახალი ამბავი

✦ **ი. ჭავჭავაძის მებაღის მოკვლა.** ორი დღის წინად ს. საგურამოში, „ზაკავ."-ს სიტყვით, მოუკლავთ მებაღე ილია ჭავჭავაძისა, რომელმაც, როგორც ამბობენ, ი. ჭავჭავაძის მოკვლის ამბავი დაწვრილებით იცოდა თურმე.

✦ **პირველი წარმოდგენა.** როგორც ვწერდით, ქართული დრამატიული საზოგადოება შეუდგა სეზონისთვის მზადებას. პირველი წარმოდგენა დანიშნულია პარასკევს, 12 ოქტომბრისთვის. ამ წარმოდგენას გამართავენ განსვენებულ ილია ჭავჭავაძის ხსოვნის პატივსაცემად. წარმოადგენენ „ოთარაანთ ქვრივს". ეს მოთხრობა დრამად გადაუკეთებია ს. ფირცხალავას. წარმოდგენილი იქნება აგრეთვე „სცენები მომრიგებელ მოსამართლესთან". დასასრულ გაიმართება აპოთეოზი და წაიკითხავენ რჩეულ ლექსებს.

✦ **სახლის დაგირავება.** როგორც მაისის კრებაზე გამოირკვა სათავად-აზნაურო გიმნაზიის შენობის დასამთავრებლად კიდევ ბევრი ფულია საჭირო. რადგან ამ ფულის შოვნა ძნელია, ხოლო შენობის დამთავრება საშუროა, შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების კომიტეტს აზრად აქვს ახალი შენობა 3000,000 მან. დააგირაონ. აქედან ასი ათასი მან. ვალს გაისტუმრებენ, ხოლო 2000,000 მან. გადაიდება შენობის დასამთავრებლად.

✦ **საარჩევნო კრების თავმჯდომარე.** უმაღლესის ბრძანებით ამიერ კავკასიის რუს ამომრჩეველთა კრების თავმჯდომარედ დეპუტატის არჩევის დროს დაინიშნა აგრონომი დემენტიევი, ხოლო იმის მოადგილედ ინჟინერ-ტეხნოლოგი ბახმეტიევი. კრება მოხდება 14 ოქტომბერს ქ. ტფილისში.

✦ **გიმნასტიური საზოგადოება „მიმინო".** ტფ. გუბერნატორმა დაამტკიცა ახალი წესდება ტფილისის გიმნასტიურ საზოგადოებისა, რომელსაც ამიერიდან სახელად დაერქმევა ტფილ. გიმნ. საზ—ბა „მიმინო" (სოკოლი). ახალი წესდება გადმოწერილია ბოჰემიის საზოგადოების „მიმინოს" წესდებიდან. ასეთი საზოგადოება პირველია რუსეთში.

✦ **ლექციები.** შაბათს, 6 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, ტფ. ვაჟთა მეორე გიმნაზიაში დაიწყება საზოგადო განათლების ლექციები. ა. ი. ხატისოვი წაიკითხავს „ძირითადი საკითხები ფიზიოლოგიისა და ჰიგიენისა". 8 საათიდან ბ-ნ არწრუნი წაიკითხავს: „სისხლის სამართლის უფლება ევროპის მოწინავე სახელმწიფოებში".

✦ **ფულის გატანა.** სიღნაღში, ადგილობრივ ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში აღმოუჩენიათ, რომ ვილაცას ყალბად გაეტანა ექვსასი თუმანი, რომელიც ველისციხეში იყო გაგზავნილი. ეჭვი მიიტანეს კანტორის ერთ მოხელეზე, რომელსაც უკვე შეუტანია სამსახურიდან გადადგომის ქაღალდი და მაზრიდანაც წასულა. ფიქრობენ, რომ მას სხვა ფულიც აქვს წაღებული.

✦ **კრება არ შესდგა.** 3 ოქტომბრ სთვის დანიშნული ტფ. ქალაქის საბჭოს სხდომა არ შესდგა ხმოსანთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობისა გამო. ამ რიგად უსაქმურობაში დალია სული ძველმა საბჭომ.

✦ **შეწირულება.** როგორც შევიტყეთ, ნიკო ხიზანაშვილის ქვრივს, ქ-ნ ელისაბედ ხიზანაშვილისას, თავის ქმრის ბიბლიოთეკიდან ახლად დაარსებულ „ქართულ საისტორიო და საეტნოგრაფიო საზოგადოებისათვის" შეუწირავს: 52 სხვა და სხვა სახელწოდების რუსულ ფრანგული წიგნი და 25 სხვა და სხვა სახელწოდების ქართული წიგნი; ამ უკანასკნელთაგან თვით ნიკო ხიზანაშვილის (ურბნელის) საკუთარი გამოკვლევა „ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი" 59 ცალია.

✦ **ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი.** ტფილისის გუბერნიაში ცხოვრება აეკრძალათ სიღნაღის მაზრის სოფ. ვეჯინის მცხოვრებთ ლევან ზავრიშვილს და ლევან სვიმონიშვილს. პოლიციის მოთხოვნილების არ ასრულებისათვის სამსამი თვით დაპატიმრება გადაუწყვიტეს თიანეთის მაზრის ხაშურის მცხოვრებთ პატარა ტეტიშვილს, გიორგი ხახაშვილს და პეტრე გონჯიაშვილს და ახალციხის მცხოვრებთ ა. ხუსნიანცს და ა. ვართანოვს.

✦ **შეპყრობა.** როგორც დეპეშა გადმოგვცემს, შეუპყრიათ მასწავლებელი სტეფანოვი, რომელიც 26 სექტემბერს ქუთაისის საპატიმროდან გაიქცა. სტეფანოვს ყვირილის ხაზინის გაძარცვას აბრალებენ.

✦ **სწავლის დაწყება.** ქართულ კერძო ქალთა გიმნაზიაში სწავლა დაიწყება ორშაბათს, 8 ოქტომბერს. დროებით გიმნაზია მოთავსებული იქნება ვერაზედ, ქართულ სავაჟო გიმნაზიის სადგომში.

✦ **უმაღლესი კურსები.** ხვალ, 6 ოქტომბერს, პუშკინის სახელობის ბიბლიოთეკის დარბაზში ი. ი. აბულაძე განაგრძობს თავის ლექციას ამ სათაურით „ქართული ლიტერატურა შოთა რუსთაველის დროიდან".

✦ 3 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე მეჟვეთი ქუჩაზე მცხოვრებ თარხან-მოურავოვის სახლში შევარდნილა სამი შეიარაღებული კაცი. სახლის პატრონის მოსამსახურეებმა შეჰქნეს ხმაურობა, რის გამო უცნობნი გაქცეულან ორი მიიმალა, ხოლო ერთი დააპატიმრეს. იგი აღმოჩნდა რაჭის მაზრის მცხოვრები სერგო ბოჭორიშვილი.

✦ ტფ. ქალაქის გამგეობამ 2 ოქტომბერს განიხილა ბეითალის ვართანიანცის საქმე. რადგან ბეითალმა ვართანიანცმა თავის ნებით არ განაცხადა უარი სამსახურზე, უნდა დათხოვნილ იქნეს იგი, თუ არა. გამგეობამ, თანახმად 19 სექტემბრის დადგენილებისა, დაადგინა, ბეითალი ვართანიანცი 1 ოქტომბრიდან ჩაითვალოს სამსახურიდან გამორიცხულად. ვართანიანცმა გამგეობას სთხოვა, მისი საჩივარი ახალ საბჭოს წარუდგინოს.

✦ დიდუბეში ხმ. სოსინის სადებავ წამლების ქარხანაში 3 ოქტომბერს, დილის 11 საათზედ, მისულა სამი კაცი და წინადადება მიუცია პატრონისათვის, ეყიდნა მათგან სადებავი მადანი. სოსინი დათანხმებულა და უთქვამს, მიეტანათ მადანი. რამდენისამე წამს შემდეგ სამს უცნობს კიდევ სამი კაცი მოჰმატებია, და ექვსივენი შესულან ქარხანაში და კანტორის კარები დაურახუნებიათ. უცნობები პოლიციამ დააპატიმრა. აღმოჩნდნენ: გიორგი დოდაბერიძე, ალექსი ცაზურლიძე, ნესტორ კვაჭანტირაძე, ნიკოლოზ უდავაძე, სიმონ ოტიაშვილი და ივანე ბურქულაძე. პოლიციის ცნობებით, ეს ის პირები არიან, რომელთაც ამას წინად სოსინს ამავე კანტორიდან 125 მანეთი მოსტაცეს.

✦ 3 ოქტომბერს, დილის 7 საათზე, პუშკინის ქუჩაზედ ნახეს ავადმყოფი კაცი ტფ. მაზრის მცხოვრები ალექსი წითურიშვილი, რომელიც მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს, მაგრამ გზაზედ გარდაიცვალა.

✦ 3 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზედ, თელავის მოქალაქეს აკოფ ალხაზოვის სახელოსნოში ბასკალის ქუჩაზედ შევარდა სამი შეიარაღებული კაცი და მოსთხოვა მუქარით ფული. ალხაზოვმა ერთს 5 მანეთი გადასცა, მცარცველები გაიქცნენ, მაგრამ ერთი მათგანი დააპატიმრა პოლიციამ. დაჭერილი მცარცველი აღმოჩნდა სერგო აბულიანცი.

✦ 2 ოქტომბერს, ნაშუადღევის 3 საათზედ, სომეხთა ნერსესიან სემინარიის ეზოში ერევნის აკულისელმა არუთინ მირაზიანცმა რამდენჯერმე ბებუთიჟ დასჭრა მათე ოგრიხკოვ. დაჭრილი საავადმყოფოში გეგზავნეს. მირაზიანცი დაიპატიმრეს.

✦ 2 ოქტომბერს შუადღისას ჰარალელურ ქუჩაზედ გამვლელებს შენიშნეს ქალი ჰელაგია ვიგონნაია, რომელიც მთვრალივით მილასლასებდა. როცა მიუახლოვდნენ, სუნით მიჰხვდნენ, რომ კარბოლის სიმჟავე დაელია. მოწამლული ქალი საავადმყოფოში გაგზავნეს, მაგრამ იგი მალე გარდაიცვალა.

✦ ტფ. პოლიცმეისტერმა ბრძანება დაუგზავნა ბოქაულებს სასტუმროების შესახებ. პოლიცმეისტერი უბრძანებს პოლიციას, 2 კვირის განმავლობაში გულდადებით დაათვალიერონ სასტუმროები და ყურადღება მიაქციონ, რომ საწოლები სუფთად ინახებოდეს, რომ ბურჭული მოუკალავი არ იყოს და სხვა. სასტუმროების პატრონებს ევალებათ, სისუფთავე დაიცვან ფეხის-ადგილებში, არ გადააქციონ სასტუმროები საროსკიპოებად და გარყვნილების სახლებად და სხვა. სასტუმროებს 15 ოქტომბრიდან თვითონ პოლიცმეისტერი დაათვალიერებს.

## ქუთაისის ქრონიკა

✦ ქუთაისის გუბერნიის სამქიმო გამგეობამ სამდენლაც გამოატყვრინა ცირკულიარი, რომლითაც აფთიაქის მოსწავლეთ უკრძალავს აფთიაქებში დარჩენას, თუ მათ სამ წელიწადზე მეტ ხანს დაჰყვეს სამსახურში. ამ ცირკულიარმა უკიდურეს მდგომარეობაში ჩააყენა ის მოსწავლენი აფთიაქებში, რომელნიც სამ წელიწადზე მეტს მსახურებენ, ვინაიდან იძულებულნი არიან სამსახურს თავი დაანებონ და სადსარი-კი არ მოეპოვებათ სწავლა განაგრძონ. ქალაქის აფთიაქის მოსწავლეებმა უკვე მიმართეს ქალაქის გამგეობას და სთხოვეს სამსახურის ძალა უნებურად მიტოვების გამო, აღმოუჩინოს დახმარება ორი თვის ჯამიგირით. საქმე განსახილველად გადაეცემა ქალაქის საბჭოს.

✦ თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთ სხდომას, რომელიც გამართა ქუთაისის სამქიმო საზოგადოებამ თითქმის სამი წლის განმავლობაში, ამ დაწესებულების მოქმედება აღარაფერში იხატებოდა. გარდა ამისა, რომ საზოგადოების წევრნი დახმარებას უწევენ ქალაქის უფასო საავადმყოფოს. ეხლა, როგორც შევიტყეთ, საზოგადოება უკანასკნელ საქმეზე ხელს იღებს, და თუ ქალაქმა თავის ხარჯით არ მოიწვია ექიმი, შეიძლება უფასო საავადმყოფოს მოქმედება შეფერხდეს. ორთა შუა რიცხვით, საავადმყოფოში დადიოდა 60-დე ავადმყოფი.

✦ ტეხნიკოსმა ვ. ასათიანმა წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას, 30 თვეში შეავადგენ ქუთაისის გეგმასო. შრომაში ითხოვს 15,000 მანეთს. საკითხი საბოლოოდ გადასაწყვეტად გადაეცემა ქალაქის საბჭოს.

✦ ჯარის წასვლის გამო ხონიდან იქაურმა ფოსტა-ტელეგრაფის კანტორამ შესწყვიტა ფულის გზავნა-მიღება და ამიტომ ხონელები იძულებულნი არიან რამდენისამე მანეთის გასაგზავნად ქუთაისში ირბინონ.

✦ გაუთავებელ მოლაპარაკებსა და მიწერ-მოწერის შემდეგ შავი ქვის პლატფორმების ელექტრონით განათების საქმე ჭიათურაში დამთავრდა. რკინის გზის გამგეობა და შავი ქვის მრეწველთა საბჭო ერთ მანეთს პირობით შეეკვრნენ, რომლითაც საბჭო ვალდებულია ენერგია აძლიოს პლატფორმების გასანათებლად, ხოლო რკინის გზა ვალდებულია განსაზღვრული ფასი აძლიოს საბჭოს და მადნების პლატფორმები გაანათოს. როცა ხელ-შეკრულობა ძალაში შევა, მაშინ შავი ქვის დატვირთვა ღამ-ღამეობით შესაძლებელი გახდება და მაშასადამე, წინანდელთან შედარებით მეტი მადნის გზავნა შეიძლება ჭიათურის შტოით.

✦ მკითხველს უკვე მოეხსენება, რომ ჰიქოურისა და ჭიათურის იაფი სასადილოები, როდესაც მათ მუშების მიერ არჩეული კომიტეტი განაგებდა, დიდ დეფიციტს იძლეოდნენ; ერთი წლის განმავლობაში, გარდა იმ სუბსიდიისა, რომელსაც მრეწველთა საბჭო აძლევდა (წელიწადში 5000 მანეთს), სასადილოებმა შთანთქეს ამდენი კიდევ სხვა. უკანასკნელმა კრებამ მრეწველებისამ, გაითვალისწინა რა ეს გარემოება, სასადილოები ჩამოართვა კომიტეტსა და გადასცა საბჭოს, რომ მრეწველთა მხრით ამ სასადილოებზე დახარჯულიყო არა უმეტეს 5000 მანეთისა. კრების დახურვის შემდეგ, საბჭომ სასადილოები დახურა, მოსამსახურეები დაითხოვა და შეუდგა სასადილოების ხარჯთ-აღრიცხვის შედგენას და საქმის მოწყობას. უდიდესი დაბრკოლება სასადილოების გახსნელად ის იყო, რომ შესაფერ ბინას ვერ შოულობდა საბჭო. ამ ჟამად ბინა ნაშოვნია. საბჭომ განიხილა ცალკე კომისიის მიერ შედგენილი ხარჯთ აღრიცხვა. ამ ხარჯთ-აღრიცხვით წლიურად უნდა გაიცეს 102 350 სადილი, რაც 15 კაპეიკის კვალობაზე შეადგენს 15 352 მ. 50 კ., ამას რომ საბჭოს სუბსიდია 5000 მ. მიემატოს, მთელი შემოსავალი სასადილოებისა გამოიხატება 20.352 მ. 50 კაპ. სასადილოების ხარჯი ასეა განაწილებული: ჯამაგირებზე გადადებულია— 4080 მანეთი (წინად იხარჯებოდა 7476 მანეთი), ბინაზე—1150 მ., პურზე— 5757 მ. 50 კ., ხორცზე—5300 მანეთი, შეშაზე—1140 მან. სხვა და სხვა სანოვაგეზე—2135 მანეთი და ქონების განახლებასა, კანტორასა და სხვა ხარჯზე —790 მან. სულ 20.352 მ. 50 კ. ხარჯთ-აღრიცხვა დამტკიცდება თუ არა, საბჭო შეუდგება სასადილოების მოწყობას.

## პრესსა

„ჩვენი გზა" დობე-ყორეს ედება. დაიწყო თუ არა არჩევნები, ციებ-ცხელება დაემართა და მოჰყვა ლანძღვა-გინებას, ჭორების გავრცელებას და ათას ისეთ რამეს, რასაც მხოლოდ მისი თანამშრომელნი კადრულობენ ხოლმე. არც საკვირველია: არჩევნები მათთვის ყველაფერია, ერთი მეტი კენჭის მიღება მთელ ქვეყანას ურჩევნიათ.

ეს რამდენიმე დღეა, ხსენებული გაზეთი ს.-ფედერალისტების ლანძღვის მეტს არაფერს აკეთებს. იქ, სადაც ს.-დემოკრატებმა ვერ გაიმარჯვეს, ს.-ფედერალისტებს გადააბრალეს—იმათ მიიღეს მონაწილეობა და იმიტომ დავმარცხდითო; ხოლო იქ, სადაც გაიმარჯვეს და თავადებმა და ბურჟუაზიამ მისცეს ხმები, ეს გამარჯვება თავიანთ დემოკრატობას მიაწერეს: „მემამულეები მხოლოდ მედგარ დემოკრატობისთვის აძლევენ ხმას ს.-დემოკრატიასაო", გაიძახის რიხიანად გაზეთი.

როგორც ვიცით, ს.-დემოკრატები ფოთშიაც დამარცხდნენ. ეჭვი არ არის, იქაურმა მეთაურებმა ამ დამარცხებისათვის დიდი „ვიგოვორი" მიიღეს თავიანთ ცენტრალურ დეპარტამენტებისაგან, და აი, ერთი ამათგანი, ცნობილი ფოთელი მეჭორიკანე ბ-ნი ეს-დე თავის და თავის ამხანაგების გასამართლებლად ჰოჭყოლია აბდა-უბდას და ს.-ფედერალისტების ლანძღვას. ბ-ნი ეს-დე მუშებსაც კი წასწვდა. იგი სწერს: „ამას მიუმატეთ ადგილობრივი უმუშევრები, რომელთაც აგერ ახლა (არჩევნების წინ) შეპირდნენ ელევატორზე ახალ სამუშაოს", ესე იგი მოისყიდეს მუშებიო.

მეჭორიკანე კორესპონდენტს ბ-ნი მისცა მეჭორიკანე რედაქციამაც და ამის უშველებელი წერილი ს.-ფედერალისტების წინააღმდეგ. იგი ფოთს აღარ დასჯერდა და მთელი საქართველო აიღო: თურმე ყველგან ს.-ფედერალისტები იმის მეტს არას აკეთებდნენ, რომ არჩევნებში მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ და რეაქციონერებს რაზმავდნენ ს.-დემოკრატების წინააღმდეგ. წერილში უხვად არის გაფანტული ყველაფერი: ს.-ფედერალისტები ბურჟუებიც ყოფილან, რეაქციონერებიც, თვით-მპყრობელობისა და შავრაზმელების მომხრენიც და ათასი კიდევ სხვა.

ყველაფერი ეს „არ ახალია, ძველია", ჩვენ მხოლოდ ერთი რამ გვაკვირვებს: როდემდის უნდა ბერონ ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა ჭორების გუდა, როდემდის უნდა ატყუონ თავიანთი თავი და სხვები, ნუ თუ ერთხელ მაინც არ ამხელთ მათ სინიდისი?

## ცოტა რამ სტატისტიკისა

როდესაც სოფლის მამასახლისი გამოუცდელია და მასთან უსწავლელიც, მთელი სამამასახლისოს საქმეების წარმოება მწერალზეა დამოკიდებული. რაც გაკეთდება, კარგი თუ ავი, მწერლის მოქმედების ნამყოფი იქნება. მას შემდეგ, რაც რამდენიმე სოფელი ერთ სამამასახლისოდ შეაერთეს, სოფლის კანცელარიებში საქმეებმა იმატა. დღითი-დღე უფრო მეტ ცნობებს თხოულობენ სხვა და სხვა დაწესებულებანი. ყველა ცნობა დაწერილი უნდა იყოს რუსულად და შემოწმებული მამასახლისის მიერ.

სხვათა შორის, მდგომარე წლის თიბათვის ბოლო რიცხვებში შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულმა სასტატისტიკო კომიტეტმა სოფლის კანცელარიებისაგან მოითხოვა ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი დესეტინა მიწა აქვს თვითეულ სოფელს სანადელო, ნასყიდი ან საიჯარო; რამდენია სახნავი, სავენახე, სათიბი და საძოვარი; რამდენია დათესილი და შემუშავებული; რამდენი სული საქონელი ჰყავთ და სხვა. ამ ცნობების შეკრება ადვილი არ არის. ყველა ამას ცოდნა, დაკვირვება და დრო უნდა... ეს ცნობები სოფლის მამასახლისებს უნდა წარედგინათ პირდაპირ სასტატისტიკო კომიტეტში. ზოგიერთმა სოფლის მწერლებმა თავიანთებურად შეითითხნეს რაღაც ციფრები და წარგზავნეს. მკითხველი თითონ მიხვდება, რა სტატისტიკა იქნება ეს სტატისტიკა. ამგვარად ჩნდება ყალბი ცნობები, რომლითაც ხშირად ხელმძღვანელობენ ახალ გადასახადების შემოღების ან კანონების შეცვლის დროს.

ცქვიან შვილი-შვილი.

## წერილი ოდესიდან.

პატრიოტების თავ-გასულობა.—უნივერსიტეტ...

აგერ თვე გადის, რაც ოდესაში ჩამოვიდა და შეუდგა თანამდებობის ასრულებას ახალი გრადონაჩალნიკი და გენერალ-გუბერნატორი ნოვიცკი. ჯერ ისევ პეტერბურგში იყო ბ-ნი ნოვიცკი, რომელსაც (კორესპონდენტების სიტყვით) ჰპირდებოდა ოდესელებს მშვიდობიანობის და წესიერების აღდგენას. შემდეგ თითქმის ყოველ დღე ვკითხულობდით გუბერნატორის ახალ-ახალ ბრძანებებს პოლიციისადმი—იხმარეთ ყოველი ღონე უბოროტმოქმედებათა? სოებათა და ცემა-ტყეპის მოსასპობად. მაგრამ ხულიგანების (იგივე რუსთა კავშირის წევრები) თავხედობა, თუ არ მატულობს, არა კლებულობს. ისე დღე არ გავა, რომ რამდენიმე ნაცემი ან ...ჭრილი არ იყოს. დილიდან საღამომდე ისმის „სწრაფ-მშველელ ეტლის" ... ხმა, რომელსაც ისე შეეჩვია მცხოვრები, რომ ერთ დღეს მაინც თუ არ გაიგონა ... გაკვირვებას ეძლევა.

ყველა ეს მხეცობა ხდება პოლიციელების თვალ-წინ. 100-200 ყვითელ ... ლოთში გამოწყობილი*) ხულიგანი, ... ზინებით, დანებით და ბრაუნინგებით ... ში, მხეცურის ყიჟინით დათარეშობს ... გულ ქალაქში და სცემს გამვლელ-გამვლელთ. ერთი მეთაური დაიჭირეს ...

*) რუსთა კავშირის წევრნი. (Желтор... шечники).

იმის მაგიერ, რომ სამართალში მიეცათ, მხოლოდ ქალაქიდან გააძევეს. ცოტა ხნის შემდეგ, იმისავე მეთაურობით, რამდენჯერმე, სცემეს ებრაელებს. საქმე ამით არ გათავდა და კვირას, 23 სექტემბერს, ფორმალური „პოგრომი" მოახდინეს.

20 სექტემბერს კარტამიშის ქუჩაზე, მე № 7 სახლში ყოფილიყო ორი კრება: ს.-დემოკრატებისა და ანარქ.-კომმუნისტებისა. არც ერთმა და არც მეორემ არ იცოდა, თუ მეორე კრება იყო იმავე სახლში. პირველნი შეკრებილიყვნენ ქვრივის შეინისის ბინაზე, შეინისის ქალის მეთაურობით, მეორენი მკერვალის ლვოვსკის სადგომში. რადგან ან.-კომ. ეშინოდათ რომელიმე ყოფილ წევრის მიერ გაცემისა, ამიტომ დაეყენებინათ დარაჯები სახურავზე. ამათ შეამჩნიეს პოლიციელების მოახლოვება, აცნობეს სხვებს და ყველანი საჩქაროდ ავიდნენ სახურავზე. გასავალში პოლიციელები იდგნენ. სახურავიდან მათ დაუშინეს რევოლვერები და მოჰკლეს საიდუმლო პოლიციის აგენტი დელფინსკი. პოლიციელებმა სროლითვე უპასუხეს და მოჰკლეს შეინისის ქალი, დანარჩენი ს.-დემოკრატები, რომელნიც სროლის გაგონებაზე ეზოში გაცვივდნენ, შეიპყრეს. ან.-კომმუნისტებმა-კი თავს უშველეს.

კვირას სახლიდან საკათედრო ტაძარში წაიღეს მოკლულის დელფინსკის გვამი. პროცესიის წინ ბლომად მიდიოდნენ რუსთა კავშირის წევრები—ნიშნებით. როდესაც ცხედარი ეკლესიაში შეასვენეს, უკანასკნელნი სამების ქუჩით დაეშვნენ ფერისცვალების ქუჩისკენ, სადაც შეცვივდნენ შეიმანის საჩაიეში, სადილობის დრო იყო და საჩაიე გაჭედილი იყო მუშა ხალხით. ბელადის ბრძანების შემდეგ ხულიგანების ბრბო შეერია ხალხს და დაუწყო ცემა-ტყეპა და მტვრევა ყველაფერის. ხალხი უკანა კარებით ეზოში გავარდა, სადაც ამ დროს აუწერელი რამ ხდებოდა. ხალხი აქეთ-იქით გარბოდა და არ იცოდნენ, სად შეეფარებინათ თავი. ქალების წივილი, ბავშვების ტირილი, ხულიგანების ყიჟინა და რევოლვერების სროლა, ერთმანეთში არეული, სოდომს მოაგონებდა კაცს. დაინახეს რა, რომ საჩაიე დაცარიელდა, ხულიგანები უკან გაბრუნდნენ, თანაც დაჰპირდნენ შეიმანს მეორეთ წვევას. გასვლისთანავე დაუწყეს უწყალოთ ცემა ყველას, ვინც კი შეჰხვდათ. ალექსანდროვის ქუჩის კუთხეზე დაეცნენ ებრაელს, რომელსაც ჩემოდანი მიჰქონდა, და ისე ძლიერ დაარტყეს თავში ჯოხი, რომ იგი იქვე წაიქცა. სცემეს კიდევ ბევრს, რის შემდეგაც შეუერთდნენ პროცესიას, რომელსაც დელფინსკის გვამი მიჰქონდა სადგურისაკენ**). გზაში, რასაკვირველია, ყველას სცემდნენ. კუპეს ვაგონში დასვენების შემდეგ, ერთი ჯგუფი ხულიგანებისა, 200-კაცისაგან შემდგარი, წამოვიდა ნოვო-რიბნი ქუჩით და ეკატერინეს შესახვევთან წამოეწია ებრაელს გუტოვიჩს, რომელიც ცოლშვილით მიდიოდა, „გაჩერდი ურიავ", დასჭყვილეს საბრალოს, რომელიც გადაეფარა ცოლშვილს და ემუდარებოდა—შემიბრალეთ, რა დაგიშავეთო. „შენ ურია ხარ და უნდა მოკვდე"—მიაძახეს და დაუშინეს კიდეც. იგი დაეცა მიწაზე. თავსა, გვერდებსა და მუცელში ჭრილობები აღმოაჩნდა. ცოლსა და ბავშვს ერთმა ხულიგანმა რევოლვერი მოუღერა, უნდოდა მოეკლა, მაგრამ მეორემ ხელი აუკრა და ააცდინა ტყვია. ამით ისარგებლა ცოლმა და ბავშვით თავი შეაფარა იქვე ეზოში. გუტოვიჩი კი წაიღეს საავადმყოფოში.

შემდეგ ბრბო გაიყო პატარ-პატარა ჯგუფებად. შეესივნენ სტარო-რეზნიკოვის ქუჩას, საიდანაც ჩქარა მოისმა ფანჯრების მსხვრევის ხმა და ნაცემთა კვნესა-ტირილი. ფერის ცვალების და ბაზრის ქუჩების კუთხეში 30 კაცი შევარდა „იოდის" ღვინის სარდაფში, სადაც გაცარცვეს კასა, გაივსეს ჯიბეები საუზმეულობით და შემდეგ დაუშინეს ქვები ახლო-მახლო სახლებს. დიდ-არნაუტის ქუჩაზე მეორე ჯგუფი შევარდა ტრამვაის ვაგონში. დაუწყეს ცემა მგზავრებს, რომელთაც მიატოვეს ვაგონი და თავს გაქცევით უშველეს. ერთი ხულიგანი ეცა იქვე მდგომ ბავშვიან ქალს, გამოსტაცა ხელიდან ბავშვი და შეუერთდა ამხანაგებს. ქალი ჯერ გაშეშდა, შემდეგ კი წივილ-კივილით გამოუდგა უკან. შედეგი ვერ გავიგეთ, რადგან იქვე გვერდით გაისმა ყვირილი ვაჭრის ლადიჟენსკის, რომელსაც ცემის შემდეგ წაართვეს საათი და საქონელი. ლადიჟენსკიმ თავს გაქცევით უშველა. ხულიგანებმა მერე სცემეს მოხუც ებრაელ ვაშლის მოვაჭრეს, დაუმტვრიეს მას კალათი და გაივსეს ჯიბეები ვაშლებით. ეს ვაშლები დაუშინეს ფანჯრებს და გამვლელთ. მიძინების ეკლესიის პირდაპირ ჩალეწეს მაღაზიის ფანჯრები და გაიტაცეს კალბასები. ჩალეწეს ფანჯრები კლაუზერის საათის მაღაზიაში, ლერნერის მაღაზიაში, ერთ სასტუმროში, ფეხსაცმელის მაღაზიაში, ლუსიკოვის მაღაზიაში, გელისის თამბაქოს მაღაზიაში, საპარიკმახეროში, სურათების მაღაზიაში და სხვაგან. ნოვოსელსკის ქუჩასთან ერთი ჯგუფის ბელადმა შეამჩნია, რომ ნამეტანის ჯაფით ამხანაგები დაიქანცნენ. ამიტომ შედგა მაღლობზე და გაამხნევა ამხანაგები: რას შეჩერდით? დასცხეთ ურიების დუქნებსაო, და მოისმა ფანჯრების ლაწალუწი. ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა. ამ დროს ფერისცვალების ქუჩაზე გაიარა ეტლით პოლიცმეისტერმა ფონგესბერგმა. შემდეგ ნეჟინის ქუჩიდან დაწყებული ფერისცვალების ქუჩამდე ახალ-ახლა მოისმა მხეცური ყიჟინა და სტვენა. ჩაამტვრიეს ფანჯრები რამდენიმე მაღაზიებისა და მიჰყვეს ხელი სოლოდკოვის შლიაპის მაღაზიის ძარცვას. გაიტაცეს შლიაპები და რაც კი რამ მოჰხვდათ ხელში. პოლიციელთა გულგრილობის დასახასიათებლად მოვიყვან შემდეგ ფაქტს: ერთმა ხულიგანმა ფანჯარების ჩალეწის დროს გაიჭრა ხელი. ჭრილობა შეუხვია პოლიციელმა (გოროდოვოიმ), არხენად ჩასვა ეტლში და გაისტუმრა სახლისკენ.

ნეჟინის ქუჩის ბოლოში ხულიგანებმა გააჩერეს ტრამვაის ვაგონი, გადასხეს მანდილოსნები და კაცებს უწყალოდ სცემეს. აქვე ჩალეწეს ბოქაულის პლახოტნიუკის სახლის ფანჯრები. ერთის ქვით აკვანში მწოლიარე რვა თვის ბავშვი კინაღამ მოჰკლეს. მეორე ქვა ქალთა გიმნაზიაში შევარდა, მაგრამ კლასი ცარიელი იყო და არავინ დაშავებულა. ნეჟინის ქუჩაზევე ჩალეწეს რამდენიმე მაღაზია და ძალზე სცემეს გურევიჩს, ნახშირის საწყობის პატრონს. ამ დროს მოესმათ, სტრაჟნიკების ცხენების ფეხის ხმა, ხულიგანები შეჩერდნენ, მაგრამ მერე გაეშურნენ ფერისცვალების ქუჩისაკენ. აქ უბნის ზედამხედველმა მათ შესაშინებლად რევოლვერი ჰაერში გაისროლა, რამაც დააფრთხო ხულიგანები. მაგრამ მიაღწიეს თუ არა სამების და ბაზრის ქუჩების კუთხეს, ისევ შეუდგნენ მტვრევას და ცემას. აქაც ჩალეწეს რამდენიმე მაღაზია და გაცარცვეს ქვიოტოვსკის ტანისამოსის მაღაზია. ებრაელების ქუჩის კუთხეში წააქციეს წიგნების კიოსკი, გაიტაცეს 43 მანეთი. შემდეგ მილეწეს ბელოცერკოვსკის და რაფაელოვის ფოტოგრაფიები და რუბინჩიკის სტამბა. აქვე შემოეხვივნენ მოხუც მეკალათეს და მოუღერეს რევოლვერი. ის იყო უნდა მოეკლათ, რომ შუაგულ ბრბოში შეიჭრა რევოლვერით ხელში პოლიციელი და გადაარჩინა შიშისაგან გაქვავებული მოხუცი. აქვე სცემეს ორ ქალს და დანით მძიმედ დასჭრეს გერშ ცეპი. მოსწავლე ქალს მურმანს წაართვეს წიგნები და წიგნებითვე სცემეს. ბევრი აღმოჩნდა დაჭრილი და ნაცემი. ებრაელების საავადმყოფოში ჭრილობები შეუხვიეს: გიორგი ზილბერშტეინს, ილია ვორონინს, შმულ გოლდშმიტს და კიდევ ორ უცნობს. პატარა არნაუტის ქუჩაზე, აბრამ ფინკელშტეინის ბუფეტთან გაჩერდა ეტლი, საიდანაც გადმოვიდა ბავშვი. ხულიგანები მაშინვე მიესივნენ ბავშვს. მას მიეშველა მამა, ფინკელშტეინი. იგი დასჭრეს დანით, ბავშვი კი დაახალეს ქვაფენილზე და თავი გაუტეხეს. ამის დანახვაზე იქვე დაეცა გულწასული დედა ბავშვისა. დასჭრეს დანით შტრაიბმანის სასტუმროს კომისიონერი.

უნდა აღვნიშნოთ ის საგანგებო ფაქტიც, რომ არც ერთი სტუდენტი არ აღმოჩნდა ამ დღის ნაცემი. დაბნელებისას უწესოება შესწყდა. აი, ასეთ თავხედობამდის მივიდნენ ხულიგანები, რუსთა კავშირის წევრებად წოდებულნი.

—

უნივერსიტეტს წელს ბლომად მოაწყდა ახალგაზრდობა. უადგილობის გამო ბევრი გარედ დარჩა. უმეტესობა დარჩენილთა ებრაელები არიან, რადგან ახალის ცირკულიარის ძალით ისევ 10% ნორმას დაუბრუნდნენ. მემარჯვენე პროფესორები ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ შარშანდელი ნორმა შეამცირონ. იურიდიულ ფაკულტეტზე შარშან 500 კაცზე მეტი შევიდა, წელს კი მემარჯვენე პროფესორები თხოულობენ 200 კ. მათ არ დაეთანხმა პროფესორთა საბჭო, და საქმე სამინისტროში გადაწყდება. გარდა ამისა ფილოლოგიურ ფაკულტეტზე სტუდენტად სულ 6 კაცი მიიღეს. დანარჩენი 30 კაცი, ბერძნულ ენაში ნიშნის უქონლობისა გამო, თავისუფალ მსმენელებად იქნებიან იმ დრომდე, სანამ ბერძნულში ეგზამენს არ ჩააბარებენ.

კვირას, 23 სექტემბერს, მოხდა სტუდენტების საერთო კრება. კრებას 2000 სტუდენტი დაესწრო. კრება მოწვეული იყო ახალ კანონის ძალით, რექტორის ნებართვით. მოელოდნენ მთავრობის მოხელეს, მაგრამ არ მოვიდა. კრება დასრულდა საღამოს 6 საათზე. კრება დაიწყო დათხოვნილ რექტორის ზანჩევსკის და პრორექტორის ვოსკოვსკისთვის მისართმევ ადრესების პროექტის კითხვით.*) კრებამ ერთხმად მიიღო პროექტი. ადრესები მშვენიერ ყდებშია ჩასმული. ზედ მიმაგრებულია ვერცხლის მონოგრამები და ვერცხლისავე ფირებზე წარწერილია: „ნოვოროსიელ სტუდენტობისაგან".

ამას გარდა კრებაზე წაკითხულ იქნა „ივლისის წესები". გაიმართა ამის შესახებ კამათი. ერთი ნაწილი სტუდენტობისა თხოულობდა წესების მიღებას, მეორე კი უარყოფდა. კენჭის ყრის შემდეგ გამოირკვა, რომ უმეტესობამ მიიღო წესები 11 ივლისისა.

ლექციების კითხვა თითქმის ყველა ფაკულტეტზე დაიწყო. №.

## სასამართლო

### ზუგდიდის საქმე.

(შემდეგი*)

ჯარის წასვლისთანავე ზუგდიდის მაზრიდან, სარევოლიუციო ორგანიზაციების მოქმედება გაძლიერდა და იმაში გამოიხატა, რომ მთავრობის დაწესებულებებს თავს ესხმოდნენ იარაღის შესაძენად. 2 დეკემბერს 1905 წელ, ნაშუადღევის 2 საათზე, ხონის გარშემო თოფის სროლა ასტყდა და ამასთან ერთად ადგილობრივ პოლიციის ბოქაულის ხიქოვანის ბინაზე მივიდა სამი ადგილობრივი მცხოვრები ცნობილ პროპაგანდისტის ლავრენტი ესვანჯიას თანხლებით. მათ ბოქაულს განუცხადეს, გამოგზავნილნი ვართ ს. დ. ორგანიზაციის მიერ იმ იარაღის წასაღებად, რომელიც თქვენთან და სტრაჟნიკებთან ინახებაო. ისიც დასძინეს, რომ ორგანიზაციის შეიარაღებული რაზმიც აქ არისო. ბოქაულმა უპასუხა, მე მაზრის უფროსს უნდა შევეკითხო და ამისათვის სამი საათი ვადა ითხოვა. დეპუტატები ერთხანს თითქოს დასთანხმდნენ და წავიდნენ, მაგრამ მერე კვლავ გამოცხადდნენ რამდენიმე შეიარაღებულ კაცით და ბოქაულს მოსთხოვეს ორგანიზაციის მოთხოვნილების შესრულება. ამ დროს ყველგან თოფის სროლა ისმოდა. როცა ბოქაულმა განაცხადა, იარაღს ვერ მოგცემთო, ბაგრატ დოლიძემ თითონ აიღო ხუთი თოფი და გადასცა რაზმელებს. მერე ლავრენტი ესვანჯიას დახმარებით აიძულა ბოქაული, სტრაჟნიკების „პოსტში" წასულიყო და სტრაჟნიკებისთვის ეთქვა, იარაღი მიეციათ. ბაზარს რომ მიუახლოვდნენ, ბოქაულსა და იმის თარჯიმანს კვიციას დახვდა შეიარაღებული ხალხი, რომელმაც ორივეს მოსთხოვა იარაღი. კვიციამ განაცხადა, რევოლვერი სახლში მაქვსო. რევოლვერის წამოსაღებად მას წაჰყვა ესვანჯია. ამავე დროს სტრაჟნიკებისთვისაც გამოერთმიათ თოფები. შეიტყო რა ეს ბოქაულმა, წინააღმდეგობა ვეღარ გასწია და რაზმელებს თავისი რევოლვერი გადასცა. აქვე ხიქოვანის თვალ-წინ, რაზმელებმა მოიყვანეს იარაღ აყრილი სტრაჟნიკი კოსტა შემოთავა და, რადგან მას წინააღმდეგობა გაეწია და თოფიც დაემალა, დააჩოქეს და მიწა შეაჭამეს. ბოქაულის სახლში არ ყოფნის დროს, მისულიყვნენ რაზმელები ბაგრატ დოლიძესთან ერთად და ხიქოვანის ცოლი იძულებული გაეხადნათ, 12 რევოლვერი და სხვა ნივთები მიეცა. შემდეგ ამისა, ბოქაული ხიქოვანი დატუსაღებულად გამოაცხადეს. ამ ყოფაში იყო საქმე 4 დეკემბრამდე.

5 დეკემბერს 1905 წელს ნაშუადამევს მრავალი შეიარაღებული ხალხი შემოერტყა ზუგდიდში პოლიციის სტრაჟნიკების სამაზრო რეზერვს, აყარა იარაღი ყარაულს და შევარდა სტრაჟნიკების ბინაზე, სადაც ერთმა ყუმბარით ხელში სტრაჟნიკებს უთხრა, დაგვნებდით და იარაღი მოგვეცითო. სტრაჟნიკები დანებდნენ. რაზმელები დაეპატრონენ 44 თოფს და 3800 პატრონას. გამოძიებამ გამოარკვია, რომ სტრაჟნიკების იარაღის აყრის დროს, გარდა ორივე სარევოლიუციო ორგანიზაციის წევრების—ლეონიდ შენგელიასი, სპირიდონ კვიციასი, მელიტონ გობეჩიასი და ალექსანდრე ჩხეტიასი, იყვნენ აგრეთვე: ვლადიმერ ჟვანია, იოსებ კვიცია, პავლე აკობია, პეტრიონ ბასილაია, ერასტი ბოკუჩავა და ჩუჩუ წიწვავა.

სადამთო სასამართლოში მივიდა შეიარაღებული ხალხი, 7 თუ 8 კაცი შევიდა სასამართლოში და იქ მყოფ მწერლებს პლატონ საჯაიას და მათე პიტიას სიკვდილით დაემუქრა, თუ არქივის გასაღებს არ მისცემდნენ. არქივში იარაღი ინახებოდა. როცა საჯაიამ და პიტიამ განაცხადეს, რომ მათ გასაღები არა აქვთ, ორი კაცი შევიდა არქივში, გამოიტანა ბერდანები და რევოლვერები. გარდა ამისა შემოსულმა კაცებმა, დაათვალიერეს დანარჩენი ოთახები და წაიღეს სასამართლოს დარაჯების სამი თოფი. ამავე დროს შეიარაღებული ხალხი, ს. დ. ორგანიზაციის ხელმძღვანელობით, შემოერტყა მაზრის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელის სოდოროვის ბინას და სოდოროვს იარაღი მოსთხოვა. როცა სოდოროვისაგან უარი მიიღეს, შესულებმა თითონ დაიწყეს იარაღის ძებნა და წაიღეს—სამი თოფი საკუჭნაოდან, ერთი თოფი ჩამოართვეს ურიადნიკს პერტაიას, ხოლო ერთი რევოლვერი—ტარას კუპუნიას. შემდეგ წავიდნენ. ამავე დღეს იარაღი აჰყარეს თავის ბინებზე—ბოქაულებს კვარაცხელიას და შენგელიას.

7 დეკემბერს, დილით 11 საათზე, ზუგდიდის სამაზრო სასამართლოში იმყოფებოდა მაზრის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელი სოდოროვი, მდივანი ივანე დგებუაძე, საქმის მწარმოებელი მაღლაკელიძე, ბოქაული პლატონ ჯიჯიხია და სხ. სასამართლოს მოუახლოვდა შეიარაღებული ხალხი; ერთმა, კონსტანტინე ნოსაძემ გადაჭრით მოითხოვა დარჩენილი იარაღი. სოდოროვის უარზე ნოსაძემ განაცხადა, მე სრულებითაც არ მესაჭიროება თქვენი თანხმობა, რადგან ძალა ჩვენ ხელშიაო. ხალხი შევიდა სასამართლოში და წაიღო იარაღი, უვარგისის გარდა.

ამავე დღეს შუადღისას შეიარაღებული ხალხი იმავე ნოსაძისა და კოდარიას მეთაურობით მივიდა მომრიგებელ სასამართლოში და 1 და 2 განყოფილების გამომძიებლების კამერებიდან წაიღო რევოლვერები.

ამავე დღეს, როცა ზუგდიდიდან წავიდა ყაზახის პოლკის ნახევარი სოტნა, ნოსაძე და ნოდია ხალხთან ერთად მივიდნენ სატუსაღოში და სიკვდილით დაემუქრნენ იმის გამგეს ალექსანდრე კვიციას, თუ იგი მისულებს სატუსაღოში არ შეუშვებდა. შემდეგ ამისა შეცვივდნენ სატუსაღოში, გასაღები ჩამოართვეს დარაჯ გობეჩიას და გაანთავისუფლეს 8 ტუსაღი. 9 დეკემბერს გაანთავისუფლეს უკანასკნელი პატიმარი.

როცა პოლიციას იარაღი აჰყარეს და სახელმწიფო დაწესებულებანი გაანადგურეს, მთავრობის წარმომადგენელნი ვეღარ ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას და მაზრის მართვა-გამგეობა გადავიდა სარევოლიუციო ორგანიზაციების ხელში.

29 დეკემბერს 1905 წელს ანაკლიიდან ზუგდიდში ურმებით მოიტანეს 300 მსწრაფლ მსროლელი თოფი, ურმებს თან მოჰყვებოდა 20 რაზმელი და მრავალი ხალხი ფედერალისტების პარტიის წევრების მეთაურობით. შუადღისას ამ ორგანიზაციის წევრნი: ალშიბაია, გობეჩია, კვიდია, კაკულია, ჩხეტია, კვიცია, დადიანი და, მოწმის კვარაცხელიას ჩვენებით, ს. დ. წარმომადგენელიც ლეონიდ შენგელია, ურიგებდნენ ხალხს მოტანილ თოფებს და პატრონებს. ვისაც იარაღი მიჰქონდა, ხელ წერილს ართმევდნენ და ამასთან სიასაც ადგენდნენ. ასეთი სია შემდეგში აღმოაჩნდა პარტიის ერთ წევრს ჩხეტიას. ერთი ნაწილი მოტანილ იარაღისა დააწყეს ბოქაულ კვარაცხელიას კანცელარიაში და მერე ეს იარაღიც დაურიგეს ორივე ორგანიზაციის მებრძოლ რაზმებს.

(შემდეგი იქნება).

## რუსეთი

✦ **ჯილდო.** შინაგან საქმეთა მინისტრომ შეატყობინა გუბერნატორებს, რომ მათ უფლება ეძლევათ ჯილდო მოითხოვონ იმ კერძო პირებისთვის, რომელნიც ავაზაკებსა და მძარცველებთან ბრძოლის დროს პოლიციას რაიმე შესამჩნევ დახმარებას გაუწევენ.

✦ **კათედრა მალოროსიის ისტორიისა.** შარშან კიევის უნივერსიტეტის მალოროსთა სტუდენტებმა პროფესორთა საბჭოს პეტიცია წარუდგინეს და მოითხოვეს მალოროსიის ისტორიის კათედრის დაარსება, მაგრამ საბჭომ უარი განაცხადა. ამ ამბავმა ძალიან აღელვა მალოროსები. წრეულს იმავე საბჭომ ოდნავ დაუთმო მალოროსთა თხოვნას და დაარსა კურსები უკრაინის ახალ ლიტერატურისა და ძველ ისტორიისა. შარშან უკრაინის ისტორიის შესახებ ლექციების კითხვა მალოროსიულად პირველად დაიწყო ლვოვის უნივერსიტეტის პროფესორმა გრუშევსკიმ. ასეთსავე ლექციებს კითხულობენ ხარკოვის უნივერსიტეტში, მაგრამ მთავრობა დღესაც ცივ უარზე სდგას და განსაკუთრებულ კათედრის დაწესებაზე არ თანხმდება.

✦ **ბელადი ჭეშმარიტ რუსებისა.** მინსკის გუბერნიაშიაც დაარსდა ჭეშმარიტ რუსთა კავშირი ვინმე შმიდის მეთაურობით. არჩევნები რომ მოახლოვდა, პოლონელთა გაზეთსა და შმიდს რაღაც კინკლაობა მოუხდათ. პოლონელთა გაზეთმა შმიდს რუსეთის მოღალატეობა დასწამა. შმიდმა ეს იტყუა და დამტკიცება მოითხოვა. გაზეთმაც დაუმტკიცა. თურმე თხუთმეტიოდე წლის წინად შმიდი საზღვაო სამინისტროში მსახურებდა. ჭეშმარიტ პატრიოტს ქრთამი აუღია და ინგლისელებისთვის კრონშტადის ციხის გეგმა მიუყიდნია. სამხედრო სასამართლომ შმიდს ჩამოართვა ხარისხი, ჩინი, ყოველგვარი უფლება და ციმბირში გადაასახლა. რამდენიმე ხნის შემდეგ შმიდი გაანთავისუფლეს სასჯელისაგან, ხოლო უფლებები არ დაუბრუნეს. მაგრამ შმიდი დღემდისაც სავსებით სარგებლობს წართმეულ უფლებებით. მან შარშანწინ და შარშან ცხარე მონაწილეობა მიიღო არჩევნებში, წრეულს კი მინსკელი ჭეშმარიტები მას დეპუტატად ასახელებდნენ და... ახლაც ასახელებენ. სამაზრო საარჩევნო კომისიამ გაიგო თუ არა ეს ამბავი, მაშინვე ამოშალა ეს ჭეშმარიტი საარჩევნო სიებიდან, მაგრამ საგუბერნიო კომისიამ ხელმეორედ დაუბრუნა მას საარჩევნო უფლება. ამრიგად ადვილი შესაძლებელია, რომ სამშობლოს გამყიდველი „ჭეშმარიტი" შმიდი დეპუტატად მოჰყვეს. საკვირველი ჩვენს დროში არაფერია.

✦ **აფიცერი რედაქტორი.** ყველას ახსოვს, რომ შარშან და შარშანწინ პეტერბურგში გამოდიოდა ერთად ერთი სამხედრო კერძო გაზეთი „ვოენნი გოლოსი", რომელიც იმით იყო საინტერესო, რომ მისი თანამშრომელნი ყველანი აფიცრები იყვნენ. რედაქტორი ამ გაზეთისა შნეური რუსეთ-იაპონიის ომში იღებდა მონაწილეობას და თავი გაითქვა სიმამაცითა და ჭკუით. გარდა რედაქტორობისა შნეურმა მრავალი სერიოზული თხზულება გამოსცა რუსეთ-იაპონიის ომის შესახებ. მისი გაზეთის მახვილ კალამს მთავრობამ ვერ გაუძლო და გაზეთი მოსპო, ხოლო თვითონ შნეური სამართალში მისცა მე-129 მუხლის ძალით.

✦ **გენ. ყაზბეგის საქმე.** ალბად, ყველას ახსოვს, რომ შარშან ვლადივოსტოკის კომენდანტი გენერალი ყაზბეგი კინაღამ სამართალში მისცეს, რადგან მას აჯანყებულთა ხელის შეწყობა ჰბრალდებოდა დანიშნეს გამოძიებაც, მაგრამ საქმე ბოლომდის არ მიუყვანიათ. ეხლა მისი საქმე მოუსპიათ, ხოლო თვითონ ყაზბეგისთვის მიუციათ ჩინი ინფანტერიის გენერლისა და სამსახურიდან დაუთხოვნიათ. ყაზბეგი ტფილისში მოდის საცხოვრებლად.

✦ **სოც. დემოკრ. და საურთიერთო დახმარების საზოგ—ნი.** რუს. სოც.-დემ. პარტიის მოსკოვის კომიტეტმა დაადგინა: პარტიამ არავითარი მონაწილეობა არ უნდა მიიღოს პროფესიონალურ კავშირების მიერ დაარსებულ საურთიერთო დახმარების საზოგადოებათა საქმეებში. ეს საკითხი განიხილა პეტერბურგის კომიტეტმა და დაადგინა: პარტიამ ამ საქმეში

**) დელფინსკის გვამი მოსკოვში წაიღეს.

*) ზანჩევსკი და ვოსკოვსკი გადააყენეს თანამდებობიდან და სამართალში მისცეს იმიტომ, რომ იმათ დამოკიდებულება ჰქონდათ სტუდენტთა ცენტრალურ ორგანოსთან.

*) იხ, „ისარი" № 216.

მონაწილეობა უნდა მიეღოს.

✦ **ლოცვა და ვარშავის გენ.-გუბერნატორის მუქარა** პოლონეთის სამღვთო სჯულის მასწავლებელთა კრებამ გააუქმა ძველი ლოცვები, რომელთაც სასწავლებელში სწავლის დაწყებისა და გათავების დროს კითხულობდნენ, და შემოიღო ახალი ლოცვები. ეს ამბავი გაიგო ვარშავის გენ. გუბერნატორმა სკალონმა და პოლონეთის ეპისკოპოსებს მისწერა: ახალ ლოცვებში მოხსენებული არ არის რუსეთის ხელმწიფე, რაიც პოლიტიკურ დემონსტრაციის ნიშანია. თუ ამ მოკლე ხანში ლოცვებში არ ჩაურთავთ ხელმწიფის სახელს, იცოდეთ, ცუდი დღე დაგადგებათო.

✦ **საოცარი განმარტება**. 28 ენკენისთვეს პეტერბურგში უნდა მომხდარიყო სამაზრო არჩევნები სათათბიროში. იმ კრებაზე კენჭი უნდა ეყარა, სხვათა შორის, კადეტების ცნობილ მოღვაწეს პროფესორ გესსენს. მაგრამ წინა ღამეს, საათის 10-ზე გუბერნატორმა მოითხოვა სიიდან გესენის ამოშლა, რადგან—თუმცა ბინა თავის სახელზე აქვს, მაგრამ ის ერთხანს პეტერბურგში ცხოვრობდა, მერე საზღვარ-გარეთაც წავიდა, ამიტომ მას ცენზი ეკარგებაო. სწორედ შუაღამისას კომისია შეიკრიბა, განიხილა გუბერნატორის მიწერილობა და გესენი ამოშალა. მეორე დილით არჩევნები დაიწყო. გესენმა, რასაკვირველია, ვერ მოასწრო საჩივრის შეტანა. გესენის გარდა სიებიდან ამოშალეს საპოლიტეხნიკო ინსტიტუტის დირექტორი პროფ. პოსნიკოვი და პროფესორები ლევენსონი, ლესინგი და შატელენი.

# უცხოეთი

**ეგვიპტე**. ეგვიპტეში რომ ეროვნული მოძრაობა დაიწყო და პროგრესიულმა პარტიებმა ეგვიპტეს ავტონომია მახლობელ მიზნად გაიხადეს, განთქმულ ლორდის კრომერის ერთმა ეგვიპტელმა მეგობარმა იკისრა ავტონომიის საწინააღმდეგო პარტიის შედგენა ეგვიპტელ არისტოკრატებისაგან და განსაკუთრებით ამ მიზნით დააარსა გაზეთი „El Carida“. ეს გაზეთი მუდამ კრიტაში ედგა ავტონომისტთა პარტიას და მის ბელადს მუსტაფა-კამილ-ფაშას. მაგრამ დროთა ვითარებისა გამო ამ პარტიამაც ვერ გაუძლო ხალხის საერთო სურვილს და ბოლოს ქითონაც მიიღო ავტონომია. ანტიავტონომისტთა პარტიამ ამას წინად თავის გაზეთში დაბეჭდა ახლად შემუშავებული პროგრამა, რომელიც უწინარეს ყოვლისა თხოულობს ეგვიპტის ფართო ავტონომიას და დანარჩენ მუხლებშიაც წინანდელ პროგრამასთან შედარებით შეაქვს რადიკალური ცვლილება. ამ რიგად, დღემდის თითონ ეგვიპტელთა შორისაც არსებობდა ანტი-ავტონომისტური მიმართულება, რომელსაც მხარს უჭერდა განსაკუთრებით შეერთებული კლასი, ეხლა კი ეს კედელიც გატყდა და ავტონომია გადაიქცა საერთო ეროვნულ მიზნად, რომელსაც უეჭველია, მალე მიაღწევს ხალხი.

**გერმანია**. უკანასკნელ ხანებში გერმანიის სოც.-დემოკრატიულ პარტიას საკითხი პატრიოტიზმის შესახებ საჭირბოროტო საქმედ გადაექცა. ერთ დროს ამ პარტიის ბელადმა ბებელმა გერმანიის პარლამენტში ხმა მაღლა განაცხადა: თუ ვინიცობაა გერმანიას ვინმემ ხელი ახლო, პროლეტარიატი ჯარს წინ გაუძღვება და თავის მკერდით დაიცავს სამშობლოსაო. ამან დიდი აყალ-მაყალი გამოიწვია სოც.-დემოკრატიულ პარტიაში, მაგრამ პარტიის უმეტესობა ბებელს მიემხრო და დაადასტურა მისი ნათქვამი. ასეთივე ამბავი დაემართა წრეულს სოც.-დემოკრატ. დეპუტატს ნოსკეს, რომელმაც გაიმეორა ბებელის ნათქვამი. მისი „საქციელი“ განიხილა პარტიის კონგრესმა და მოიწონა. ეხლა იმავე აზრს მეასეჯერ იმეორებს ცნობილი ბელადი გერმანიის სოც.-დემოკრატიისა და მუდმივი თავმჯდომარე სოციალისტურ კონგრესებისა ფოლმარი, რომელმაც მიუნხენში რეფერატი წაიკითხა მილიტარიზმის შესახებ და, სხვათა შორის, სთქვა: „სამშობლო მშრომელ ხალხისათვის ხშირად დედინაცვალია, ამიტომ მისთვის სამშობლოს დაცვა უფრო ძნელია, ვიდრე მათთვის, ვინც სამშობლოში სარგებლობას ეძებს და პოულობს კიდეც. მაგრამ ჩვენ მაინც ვერ ავრევთ ერთმანეთში სამშობლოსა და იმ კლასებს, რომელნიც ამ ჟამად ბატონობენ მას. გარდა ამისა, სხვებისაგან დაპყრობილ სამშობლოში ყველაზე ცუდ მდგომარეობაში ჩავარდება მშრომელი ხალხი, ამიტომ ჩვენ ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია და მზათა ვართ დავიცვათ ჩვენი სამშობლო და ჩვენი მამულისა და კულტურის დასაცავად გავწიროთ სიცოცხლე და ქონება“.

## წერილი რედაქციის მიმართ

მე მივიღე შემდეგი წერილი*): „1907 წ. 24 ენკენისთვეს. თქვენო ყოვლად უსამღვდელესობავ ქუთაისისა და მია გარშემო ეპისკობოზო ეს მეორე ბარათი მოგმართეთ. ქალაქ თბილისის სოციალ რეოლუციონერთა არგანიზაციამ რაიც წინა ბარათშიც გწერდით შესახებ რაჭ ს მაზრის სოფელ სხვავა და სოფელ ფუტიეს მღვდლები უსათუოთ დაითხოვე თავის ადგილებიდან სახელწოდებით ვანო და თეოფინე ძმები გიორგოშიანები რისთვისაც მათ საძაგლარ მოქმედებას კალამი ვერ ასწერა რომელიც წინა წერილშიდ სრულიათ ვქონდა მოყვანილი მათი მოქმედება უმისოთაც გაძვალ ტყავებულ ხალხზე და თუ ესე სისრულეშიდ არ მოგიყვანია და იგენი ორივე არ დაგიკრეჭია წინააღმდეგ შემთხვევაში შენც მათი თანაშემწე იქნები და გაგაყოლეათ ალიხანოვს და მისთანა მტარვალებს საჩქაროთ თუ სიცოცხლე გინდა ყურადღებით“.

არა მჯერა და ვერც დავიჯერებ, რომ ასეთის ბარათე ის წერით თავს ირცხვენდეს და სახელს იტეხდეს რომელიმე ორგანიზაცია. მე მევალება ბარათში დაახელებულ ორი მღვდლის გაკრეჭა. რისთვის? იმისათვის, რომ მათ მოუთხოვნიათ დრამის ფული. რომელი მღვდელია საქართველოში, რომ არა თხოულობს დრამას და რომლისათვის არ იკრიბება იგი დღეს ქართლ-კახეთ-იმერეთ-გურია-სამეგრელოში? რა შუაშია აქ ორი კაცი?! იცოდეს ბარათის მომწერმა, რომ უპუნურობის ჩადენას, უდანაშაულოდ სიკვდილის ძიება მირჩევნია. ჩემი სახლი ყოველთვის ღიაა ჩემის სამწყსოსათვის და თუ ვისმეს სამდურავი აქვს მღვდლებზე, ცხადად და გაბედულად მოდის საჩივლელად, მაგრამ დასახელებულ მღვდლებზე არავის არ განუცხადებია რაიმე უსიამოვნება.

ეპისკოპოსი იმერეთისა **ლეონიდი**.

—

ტფ. ქალთა მეოთხე გიმნაზიას ქართული წიგნთსაცავი არა ჰქონდა. უღრმეს მადლობას გწირავთ ქვემორე აღნიშნულ პირთ, რომელთაც ფულითა და წიგნებით დახმარება გაგვიწიეს და აღნიშნულ გიმნაზიაში საკუთარ ქართულ წიგნთსაცავის დაარსება შეგვაძლებინეს. შემომწირველთა სია: ივანე რატიშვილი 10 მან., კ. ძაყაშვილი—1 მან.; ეკ. გაბაშვილისა—1 მან. და „საყმაწვილო მოთხრობების“ ერთი ცალი, აგრეთვე მოსე ჯანაშვილის „საქართველოს ისტორია“ ერთი ცალი; სალომე ჰიჰინაძისა—2 მან. და 1903 წლის „მოამბის“ №№ 1—6; ელ. გაბაშვილისა—20 კაპ.; ლ. ხალდასტანოვი 1 მან.; თ. ფირაქაშვილისა—3 მან.; გიორგი პეტროვიჩი—50 კაპ.; კოლა ახაშნელი—20 კ.; ა. ალექსიშვილი—50 კ.; დ. მაკარაშვილი—30 კაპ.; ი. ნიჟარაძე—1 მან.; აბულაძე—20 კაპ.; ლ. ეგაძე—50 კაპ.; Несторъ—20 კ.; №—50 კ.; ვარ. წ—ძე—1 მან.; №№—1 მან.; №№№—50 კ.; Соломонъ—60 კ.; №№—1 მ.; №—1 მან.; №№ A—30 კ.; მღ. ჯაიაშვილი—1 მ.; ვას. ყანჩელაშვილი—1 მ.; ვანო ახობაძე—60 კ.პ.; ე. ს.—20 კ.; სონა—40 კ.; თუხარელი—40 კ.; ლადო ბრაგვაძე—50 კ.; სიკო ბრაგვაძე—50 კაპ.; მ. ერისთავისა—1 მან. და S—5 მანეთი.

მასწავლ. **ზ. გორგაძე**.

# დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

### რუსეთში.

### 3 ოქტომბერი.

**ტომსკი**. ნოვონიკოლაევკაში 1 ოქტომბერს ხოლერით ავად გახდა 12 კაცი, გარდაიცვალა 5. ბარნაულში ავად გახდა 1, ტომსკის მაზრაში ავად გახდა 4, გარდაიცვალა 1. ზმეინოგოროდის მაზრაში ავად გახდა 3, გარდაიცვალა 2. პოლოტნაიში 29 სექტემბრამდე ავად გახდა 13, გარდაიცვალა 3. 1 ოქტომბერს ტომსკში გემით მოვიდა ერთი ავადმყოფი კაცი და იქვე გარდაიცვალა.

**ჩერნიგოვი**. ოსტერსკის მაზრაში ავად გახდა 2 კაცი. გარდაიცვალა 1.

**მოგილიოვი**, 1 ოქტომბერს საღამოთი სოფ. ბელში მღვდლის სახლში ფანჯრიდან მოჰკლეს ურიადნიკი.

**ყაზანი**. საბეითლო ინსტიტუტის დირექტორად აირჩიეს პროფესორი კირილოვი.

**მოსკოვი**. უნივერსიტეტის საბჭომ დაადგინა, მოახსენოს საერო განათლების მინისტრს, რომ საბჭო საჭიროდ სცნობს გაზ. „მოსკოვსკი ვედომოსტის“ სტამბა და რედაქციის სახლი გადაეცეს პირდაპირ უნივერსიტეტს. თუ გაზეთის გამოცემა სხვა საფუძვლით მოხდება, მაშინ არ უნდა ერქვას უნივერსიტეტის გამოცემა და პირველ ფურცელზე უნივერსიტეტის ბეჭედიც არ უნდა ესვასო.

**პოლტავა**. საგლეხო ბანკმა შეიძინა 18 მამული ზომით 13619 დესეტინა 2,529,320 მანეთად.

**ასტრახანი**. მიწის მომწესრიგებელ კომისიას საგლეხო ბანკისაგან 175000 დესეტინა ადგილის გარდა ამ მოკლე დროში კიდევ გადაეცემა 70000 დესეტინა.

**ჩერნიგოვი**. 30 სექტემბერს მაკოშკინის მახლობლად დასწვეს ხუტორი და მოჰკლეს სამი ავაზაკი. ეხლა იქვე აღმოუჩენიათ მეოთხე ავაზაკის გათუთქული გვამი ბრაუნინგით და პატრონებით.

**კალიში**. გაძარცვეს საარყე დუქანი. ერთი სტრაჟნიკი მოჰკლეს, მეორე მძიმედ დასჭრეს.

**ხარკოვი**. სადგურ ბატკარზე ორი საბარგო მატარებელი ერთმანეთს დაეჯახა. დაიმტვრა 7 ვაგონი.

**ყაზანი**. სამაზრო საერობო კრებამ დაადგინა, მიენდოს გამგეობას შინაურ მრეწველობის საბჭოსთან ერთად შეიმუშაოს შინაურ მრეწველობის ნაწარმოებთა სიავკარგის გამსაზღვრელი პროგრამა, მოიწვიოს საქმეში დაინტერესებული პირები და საუკეთესო ნაწარმოები დააჯილდოოს ოქროსა და ვერცხლის მედლებით.

**ომსკი**. ხოლერით ავად გახდა 5, გარდაიცვალა 2. მაზრებში ავად გახდა 1.

**ორენბურგი**. ჩელიაბინსკში ავად გახდა ერთი, რომელიც უკვე მორჩა.

**კიევი**. ავად გახდა 88, გარდაიცვალა 6.

**პოლტავა**. ხელ-ახლა ავად გახდა 2 კაცი.

**ეკატერინოსლავი**. მარიუპოლში ავად გახდა—2, ეკატერინოსლავში—2, ერთი გარდაიცვალა.

**ნიჟნი-ნოვგოროდი**. ავად გახდა 2.

**პეტერბურგი**. ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ამხანაგი მეოფე ავადმყოფობის გამო სამსახურიდან გავიდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროსთან დაარსებულ გამოსაკვებ ნაწილს აზრადა აქვს 1908 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში შეიტანოს 7,732,000 მანეთი. ეს ფული უნდა დაურიგდეს მოუსავლობით სეტყვისა გამო დაზარალებულ სოფლის მცხოვრებთ. როგორც გამოირკვა შემწეობის აღმოჩენა დასჭირდება კიევის, ვოლინის, ხერსონის მოგილიოვის, მინსკის, ტავრიდის, პსკოვის, კალუგის, ორლოვის, ვიტებსკის, ყაზანის, ვორონეჟის, ჩერნიგოვის, სმოლენსკის, ვიატსკის, ორენბურგის, ნოვგოროდის, ტობოლსკის, სამარის გუბერნიასა და ზაბაიკალის ოლქს.

**ოდესა**. პოლიციის რაზმი საერთო ჩხრეკის დროს შეეხეხა ახალგაზრდათა საქვო ჯგუფს და უბრძანა გაჩერებულიყვნენ. უცნობნი გაიქცნენ და პოლიციის გაფრთხილებას ყურადღება არ მიაქციეს. ცხენოსან სტრაჟნიკებმა სროლა ასტეხეს. მოკლულია ებრაელი გლიკმანი. 11 კაცი შეიპყრეს.

**პეტერბურგი**. სამხედრო სასამართლომ მიუსაჯა 7 კაცს 6—15 წლამდე კატორღა. იმათ სამხედრო მინისტრის რედიგერის მოკვლის განზრახვა ბრალდებოდათ.

**რადომი**. კაზინიცკის მაზრის პოსად ზვოლენში დაიწვა რამდენიმე ასი სახლი. ამბობენ, ცეცხლი განგებ წაუკიდესო. ბევრი გათუთქული კაცი მოიყვანეს რადომში.

**ვლადივოსტოკი**. სახალინში აღმოუჩენიათ ნავთის წყაროები და ნავთის ტბა კაბალსკის ყურედან 12 ვერსტის მანძილზე. ყურეში დიდ გემთაც შეუძლიათ შესვლა.

**მოსკოვი**. ნოემბერში მოხდება სრულიად რუსეთის ინჟენერთა კრება.

**სარატოვი**. სერდობის მაზრაში მოჰკლეს მძარცველ ბრბოს მეთაური კალანჩოვი.

**კიევი**. სოფ. ოზლენგორში გლეხებმა ჯოხებით სცემეს და იქვე მოჰკლეს ერთი იქაური ქურდი.

**ბახმუტი**. მაზრაში შეიპყრეს მემამულის კრუპკას მკვლელები.

**ხაბაროვსკი**. 20 სექტემბერს ქალაქიდან 12 ვერსის მანძილზე გემ არგუნიდან მგზავრები ნავში გადასხეს. ნავი მეორე დიდ ნავს დაეჯახა და ჩაიძირა. დაიხრჩო 12 კორეელი.

**ბლაგოვეშჩენსკი**. 1 ოქტომბერს საღამოს 8 საათზე განიზრახეს გუბერნატორის ტასკინის მოკვლა. ხანჯალი მოხვდა რევოლვერს, რომლის ამოღება გუბერნატორმა მოასწრო. გაეკაწრა მხოლოდ ორი თითი. მეეტლე თავში დასჭრეს ქვით. ჭრილობა საშიში არ არის. ორი კაცი შეიპყრეს.

**სმოლენსკი**. ეპისკოპოსის სახლში დაიწვა იოანნე ნათლის-მცემლის ეკკლესია. ცეცხლი საეკკლესიო საარქეოლოგო მუზეუმსაც გადაედო და დააზიანა. ზარალი 70,000 მანეთამდეა.

**ხარკოვი**. გაიხსნა საერობო საოლქო კრება. გასარჩევია გადასახლების საკითხი.

**ჟიტომირი**. ვლადიმირ-ვოლინის მაზრის სოფ. კრაპივნიკაში და ბუჯმირში 12—22 სექტემბრამდე ხოლერით ავად გახდა 10 კაცი, გარდაიცვალა 4.

კრემენეცკის მაზრაში ხოლერით ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1.

**სიმბირსკი**. გუბერნიაში ხოლერით ავად გახდა ერთი ქალი.

### არჩევნები.

**პეტერბურგი**. სახელ. სათათბიროს დეპუტატების არჩევნები პეტერბურგსა, მოსკოვსა, კიევსა, ოდესასა და რიგაში უნდა მოხდეს 17 ოქტომბერს. თუ პირველი არჩევნები არ შესდგა, ხელ მეორედ მოხდება 23 ოქტომბერს. ტობოლის და ენისეის გუბერნიაში და ურალის კაზაკთა ოლქში დეპუტატების არჩევნები უნდა მოხდეს 25 ოქტომბერს.

### უცხოეთში.

### 3 ოქტომბერი.

**ნიუ-იორკი**. ფონტანეტის თოფის წამლის ქარხნებში სამჯერ მოხდა აფეთქება. მოკვდა 3 კაცი, 40-მდე სასიკვდილოდ დაიჭრა, 600-მდე მსუბუქად და 1200 კაცი უსახლკაროდ დარჩა. უბედურობის ადგილიდან ნახევარ მილის მანძილზე დაინგრა სკოლის შენობა, სადაც 50 მოსწავლე დამავდა. ქარხნის ზოგიერთი მოსამსახურე ცეცხლში დაიღუპა.

**პარიზი**. გარდაიცვალა მონსურის ობსერვატორიის დირექტორი მორის ლევი 75 წლისა. ფორმანის ჰაეროპლანი 2 ოქტომბერს ორჯერ აფრინდა, ერთხელ 280 და 105 მეტრის სიმაღლეზე.

**ლონდონი**. გამოირკვა, რომ შლიუსბერის მახლობლად მატარებლის ლიანდაგიდან გადავარდნის დროს დაღუპულა 20 კაცი.

**ტურინი**. 2 ოქტომბერს მუშათა კრებაზე ხელახლა გამოაცხადეს საერთო გაფიცვა პარასკევამდის. პოლიციის ცნობით, ორ ოქტომბერს მუშაობდა 19,387 კაცი 210 სამრეწველოში. დაიკეტა 203 სამრეწველო. გაფიცულია 28,855 კაცი.

**სან-ფრანცისკო**. იაპონიის სამრეცხაოს ბრბო დაეცა. მიზეზი იყო სამრეცხაოს პატრონის და მთვრალ ამერიკელის შუა მომხდარი ჩხუბი. პოლიცია იძულებული გახდა, ხალხი გაეფანტა. ალიაქოთის დროს დაიჭრა ორი იაპონელი.

**თავრიზი**. ამბობენ, ოსმალებმა ურმიე დაიჭირესო. ეტყობა, ისინი დაზამთრებას აპირებენ იქ.

### 4 ოქტომბერი.

**პარიზი**. დააპატიმრეს ექვსი კაცი, რომელთაც ამას წინად ხელი მოაწერეს ანტიმილიტარულ მოწოდებას. მოწოდება ახლად გაყვანილ ჯარის კაცთ დეზერტირობას (გაქცევა) ურჩევდა. 9 კაცს კიდევ დაეძებენ.

**სტოკჰოლმი**. 25 სექტემბერს კოპენჰაგენიდან გამოვიდა შვეციის ბარჟა „კაპელა“ და 1 ოქტომბერს ნისლის გამო ალანდის ზღვაში დაეჯახა გოტენბურგის გემს „ლანდზენ“-ს. „კაპელა“ რამდენსამე წუთში ჩაიძირა. მესაჭე და ექვსი მეზღვაური ფიურზუნდთან ნაპირს გამოვიდნენ. კაპიტანი და სამი მეზღვაური დაიღუპა.

**ბერლინი**. „ნორდდოიჩე-ალგემაინე ცაიტუნგში“ მოთავსებულია შემდეგი ცნობა: საგარეო საქმეთა სამინისტროში მივიდა მულაი გაფიდის თარჯიმანი და იკითხა, მიიღებენ თუ არა მულაის ელჩებსაო. სტატს-სეკრეტრის განკარგულებით მორიგ მოხელეს გამოუცხადა: მთავრობა ელჩებს ვერ მიიღებსო.

საფრანგეთის ელჩმა საგარეო საქმეთა სამინისტროში წარადგინა ერთი პროექტი. ამ პროექტით უნდა დაარსდეს საერთაშორისო კომისია კაზაბლანკში, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს ის, თუ რა ზარალი მოუვიდა სხვა და სხვა სახელმწიფოს ქვეშევრდომებს.

**ვაშინგტონი** სეისმოგრაფმა აღნიშნა მლიერი მიწის ძვრა. აპარატი 6 წუთის განმავლობაში ქანაობდა.

**სტამბოლი**. სპარსეთიდან მიღებულ ცნობებით, ბაღდადის ვილაიეტში ხანიკინთან სდგას ოსმალეთის 3 ბატალიონი. სპარსეთის საელჩოს შეეშინდა, კასტიმირონისკენ არ გაემართნენო და პორტას განმარტება მოსთხოვა. პორტამ გამოუცხადა, ხანიკინში არავითარი ჯარი არაა თავმოყრილიო.

**ვენა**. დეპუტატთა პალატა. მინისტრ-პრეზიდენტმა ბეკმა ავსტრ-უნგრეთის კომპრომისის კანონ-პროექტის შესახებ ილაპარაკა და, სხვათა შორის, სთქვა: თანამედროვე ურთიერთ შორისი დამოკიდებულება ვერ შესძლებს დაიფაროს საზოგადო ეკონომიური ინტერესები და ამიტომ საჭირო გახდა ხელშეკრულება. ტარიფის შესახებ ავსტრიამ შეინარჩუნა მოქმედების თავისუფლება. სამეციატორო სასამართლოს ინსტიტუტი ორივე ქვეყნის ეკონომიურ და პოლიტიკურ განვითარებას ხელს შეუწყობსო. ბეკის აზრით, ფრიად სასიამოვნო ხელ-შეკრულების პროექტში უნგრეთის სახელმწიფო ვალის საკითხიაო.

რედაქტორ-გამომცემელი **ე. აბაშიძე** [? ე. ავალიშვილი]


# განცხადებანი

### მასწავლებელთა საყურადღებოდ!

**ქართული წერის დედანი**

ალ. მირიანაშვილის შედგენილი 40 კაპ.

ამ დედანთან სახმარებელი

**რვეულები 1 და 2 № 3 კაპ.**

„არითმეტიკული კრებული“

ხრამელაშვილის შედგენილი 1 ნაწ. 30 კ.

„მეორე ნაწ. კრებულისა“ (მასივე) 40 კ.

აქვე იყიდება ყოველ გვარი ქართული წიგნები და სკოლებში სახმარებელი ქართულ-რუსული სახელმძღვანელოები. მსურველს ფას დადებითაც გაეგზავნება. მისამართი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.

მაღაზიის პატრონი, სოსიკო მერკვილაძე. (20—1)

## ქ. ოზურგეთში

ავადმყოფობის გამო საჩქაროდ და სულ იაფად ვყიდი შუაგულ ქალაქში ორ სართულიან ქვიტკირის სახლს. მიწა 1700 ოთხკ. საჟენია. ეზოში მშვენიერი წყაროა. სახლი დაგირავებულია ქუთაისის სადგილ-მამულო ბანკში. ვალი ქრიათ. გამოსადეგია ყოველგვარ დაწესებულებისთვის. დამჭერს ყოველსავე მოთხოვნილებას შევუსრულებ. ვიძებ აგრეთვე მოიჯარადრეს—იკისროს სახლის ყოველივე საჭირო რემონტი. სახლის სანახავად მსურველმა უნდა იკითხოს თედორე სირაძე. სხვა პირობების გაგება თვით სახლის პატრონთან ტფილისში მიხაილოვის პროსპექტზე № 3 ნატალია იაგორის ასულს ვახრამოვისასთან. (1—338—1)

წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზია

## ბუნების კარის

დამბარებლებს ამ ჟამად ვერ უგზავნის ბუნების კარს, რადგან ძველი გამოცემა გამოილია ახალი გამოცემა, ბევრად შევსებული. ამ მოკლე ხანში გამოვა და დაურიგდება ყველას. (2—2)

**მეჩექმეთა ამხანაგობამ**

## „ნდობამ“

დროებით შესწყვიტა ტყავეულობით ვაჭრობა, რადგან ვერაგმა ხელმა შეაჩერა მისი წინ მსვლელობა (გაქურდვით). სამაგიეროდ საუკეთესოდ მოაწყო **სახელოსნო განყოფილება**, სადაც მოეპოება ადგილობრივი ნამუშავარი, როგორც ძვირფასი შევრო და ხრომის ფეხ-საცმელი (ქალისა და კაცისა), ისე შავი საქონლისა ხელ მისაწვდენ ფასიანები, აგრეთვე საზაფხულო პარუსინისა, სუფთა და მკვიდრი ნამუშავარი, რისთვისაცა სთხოვს დაზარალებული ამხანაგობა შეგნებულ საზოგადოებას, ხელი შეუწყოს როგორც შეკვეთილ (ზაკაზის) საქმით, ისე მზად შეკერილის ყიდვით, და სკოლების საიჯარო საქმით. ვალად ვრაცხთ თავს, განვაცხადოთ, რომ ყოველ ბუნებულ საქმეს პირნათლად გავუძღვებით. ამხანაგობა გადავიდა კიროჩის ქუჩაზედ, ბუდიანოვის შენობაში, № 11-ში, ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების ცოტა ქვემოდ.

გამგე ამხანაგობისა **ს. ბერძნიშვილი**. (20—6.—16)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

1. «**ამბოხება გაზეთისა**», 1812 წ. ისტორიული ამბავი ა. ფრონელისა . . 1 მ.
2. «**საქართველოს მეფე და მისი უფლისწულის ისტორია**», ი. ჯავახიშვილისა . 15 კ.
3. «**ქართლის ცხოვრება**», მარიამ დედოფლის ვარიანტი . . . . . . . 3 მ.
4. «**საბერძნეთის ძველი ისტორია**». ნიორმან სა, თარგ. ვლ. ლორთქიფანიძისა 1 მ.
5. «**რომაელების ძველი ისტორია**», თარგმანი ვ. ლორთქიფანიძისა . . . 1 მ.
6. «**ფიზიკური გეოგრაფია**», ს. იამბალისა . . . . . . 20 კ.
7. «**მასალები საქართველოს ისტორიისათვის**», . . . . . . 1 მ.
8. «**საქართველოს ისტორია**», მ. ჯანაშვილისა . . . . . . 1 მ.
9. «**მთიულეთი**», (ამბოხება 1814 წ.), ა. ფრონელისა. . . . . . 40 კ.
10. «**ცისარტყელა**», სამხატვრო-სალიტერატურო კრებული (მრავალის სურათით). . . . . . 15 კ.
11. «Очерки грузинской словесности», IV, ა. ხახანაშვილისა . . . 3 მ. 50 კ.
12. Судьбы грузинской церкви», გაზეთ «რუსკი სტიაგის» გამოცემა . . . 25 კ.
13. «Государственный строй древней Грузіи и древней Арменіи», ი. ჯავახიშვილისა . . . 1 მ. 35 კ.


---

*) მოგვყავს ეს წერილი უცვლელად. თავში წერილს აზის ბეჭედი, რომელსაც აწერია: „რ. ს. რ. პ. ჯგუფი ტეროლისტ“. ბეჭდის ცალ მხარეს დახატულია რევოლვერი, მეორე მხარეს ბუმბარა.